ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ + „ფრანკო“ — 8 ლარი 4-დან 18 აპრილამდე

18 აპრილის შემდეგ „ფრანკოს“ ფასი 12 ლარი გახდება




ოთხშაბათი, 6 აპრილი, 2011 №81 (5462) ფასი: 30 თეთრი

# კახა კუკავას ებრალიძე აფინანსებს?!

ქართული მინერალური წყლები და ალკოჰოლური პროდუქცია რუსეთის ბაზარზე 2011 წლის ბოლომდე დაბრუნდება



გვ.4

## „ნორა კვიციანი იმიტომ არის დაკავებული, რომ ძებნილის დაა“

გვ.3



## კონგოში ავიაკატასტროფას საქართველოს 4 მოქალაქე შეეწირა

დაღუპულთა გადმოსვენების ხარჯებს „აირზენა“ გაიღებს

გვ.2



## ისრაელი აფხაზეთს არასდროს აღიარებს

— გვ.3 —



გვ.5

## საარჩევნო გარემო მოსახლეობის დახმარებით უნდა გაუმჯობესდეს

ოპოზიციური რვიანი მხარდაჭერას ითხოვს

## აფხაზი მღვდლები აჯანყდნენ



რატომ გამოუცხადეს ბესარიონ აპლიას უნდობლობა

გვ.2



გვ.5

## რა აინტერესებს მოსახლეობას — გართობა თუ პოლიტიკური თოქ-შოუ?

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

2 უზენაესი სასამართლოს განცხადება

3 გონიოს მოსახლეობა შველას ითხოვს

6 16 ექიმს სერტიფიკატი შეუჩერდა

4 კონდოლში 21 წლის ბიჭმა თავი მოიკლა

# კონგოში ავიაკატასტროფას საქართველოს 4 მოქალაქე შეეწირა

## დაღუპულთა გადმოსვენების ხარჯებს „აირზენა“ გაიღებს

გერა მამულაშვილი

**კომპანია „აირზენას“ კუთვნილმა თვითმფრინავმა კონგოში კატასტროფა განიცადა. ლაინერი მიწაზე დაცემისას შუაზე გადატყდა და ცეცხლი გაუჩნდა. თვითმფრინავში 33 ადამიანი იმყოფებოდა, მათგან 29 გაეროს თანამშრომელი იყო. ეკიპაჟის წევრები, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები იყვნენ, ავიაკატასტროფის დროს დაიღუპნენ.**

არსებული ინფორმაციით, ამოცნობილთა შორის არიან: 22 წლის სულიკო ცუცქირიძე, რომელიც ახალციხის რაიონში ცხოვრობდა; ქუთაისელი გურამ კეპულაძე, აგრეთვე ალბერტ მანუკოვი და ხომალდის მეთაური ალექსეი ოგანესიანი.

ტრაგედია 4 აპრილს, ადგილობრივი დროით 13 საათზე მოხდა. „ბი-ბი-სი“ შემთხვევის მიზეზად ძლიერ წვიმას ასახელებს.

„აირზენას“ თვითმფრინავი ამ ქვეყანაში გაეროს მისიას ემსახურებოდა. ბოლო ინფორმაციით, დაღუპულებს შორის, ქართველებთან ერთად, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეები, მათ შორის რუსები და ყაზახებიც არიან.

საქართველოს სამი მოქალაქე უკვე ამოცნობილია. ესენი არიან პილოტი დავით ცუცქირიძე, ეკიპაჟის წევრები გურამ კეპულაძე და ტექნიკოსი ალბერტ მანუკოვი. მიმდინარეობს ეკიპაჟის დაღუპული მეთაურის, ალექსეი ოგანესიანის ამოცნობის პროცესი.

ოფიციალურ საავიაციო მოკვლევაში, რომელიც კონგოში მომხდარ ავიაკატასტროფასთან დაკავშირებით დაიწყო, კომპანია „აირზენას“ წარმომადგენლებიც ჩაერთვებიან.

ამის შესახებ „აირზენას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა ნინო გიორგობიანმა განაცხადა. მისი თქმით, კონგოს დედაქალაქ კინშასაში „აირზენას“ წარმომადგენლები უკვე იმყოფებიან და დღესაც დამატებითი ჯგუფი გაიგზავნა, რათა ოპერატიულად მოხდეს დაღუპულთა საქართველოში გადმოსვენება.

ნინო გიორგობიანის განცხადებით, „აირზენა“ დაღუპულთა გადმოსვენების ხარჯებს საკუთარ თავზე იღებს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, თვითმფრინავის ჩამოვარდნის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რთული მეტეოროლოგიური პრობლემები სახელდება, რომელიც თვითმფრინავის დაშვებისას შეიქმნა. ნინო გიორგობიანის თქმით, ძლიერმა ტროპიკულმა წვიმამ და ქარიშხალმა, თვითმფრინავის დანარცხება გამოიწვია.

„აირზენას“ კუთვნილ ესერ-ჯეი 100-ის ტიპის თვითმფრინავს გაეროს წარმომადგენლები კონგოს დედაქალაქ კინსაშაში მიჰყავდა. ნინო გიორგობიანის განცხადებით, კომპანია „აირზენა“ გაეროს პროგრამას უკვე მესამე წელია ემსახურება. თვითმფრინვმა ბოლო სპეცშემოწმება 2010 წლის 22 დეკემბერს გერმანიაში, ავიაკომპანია „ლუფთჰანზას“ ბაზაზე გაიარა.

კომპანია „აირზენა“ დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარს უცხადებს. მომხდარის გამო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში მწუხარება გამოთქვეს.

ავიაკატასტროფის შედეგად დაღუპული საქართველოს ოთხი მოქალაქის ჩამოსვენების



ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე გიორგი კარბელაშვილმა ავიაკატასტროფის დროს დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარი გამოუცხადა და განაცხადა, რომ დაღუპულთა ჩამოსვენებისა და დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

— კონგოში ქართული თვითმფრინავის კატასტროფის ადგილზე შავი ყუთი ალმოაჩინეს — ამის შესახებ კონგოური რადიო „ოკაპი“ იუწყება. „ოკაპის“ ინფორმაციით, შავი ყუთი ადგილობრივ საავიაციო სამსახურს გადაეცა. სამსახურის წარმომადგენლების განცხადებით, ამ დროისთვის სხვა ინფორმაცია მათ არ გააჩნიათ.

— დამატებითი ინფორმაცია კატასტროფის მიზეზებზე მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც გამოძიება დასრულდება, — განაცხადეს კონგოს საავიაციო სამსახურში.

ცნობისთვის, კონგოში გაეროს მისია 21 ათას სამხედრო მოსამსახურესა და სამოქალაქო თანამშრომლებს ითვლის და დღეისთვის მსოფლიოში უმსხვილეს სამშვიდობო ოპერაციას წარმოადგენს.

გუშინვე თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ავიაკომპანია „აირზენას“ ორი რეისის შესრულება შეფერხდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ აეროპორტში განუცხადეს, თბილისიდან ხარკოვის მიმართულებით 05:30 საათზე დაგეგმილი რეისის შესრულება 13:00 საათამდე გადაიდო. ასევე გადაიდო თბილისიდან თეირანის მიმართულებით 11:30 საათისთვის დაგეგმილი ავიარეისი. ამ დროისთვის უცნობია, როდის შესრულდება აღნიშნული რეისი.

თბილისის აეროპორტში ფრენების შეფერხების მიზეზებზე ინფორმაცია არ აქვთ. „აირზენა“ კი მიზეზად უამინდობას ასახელებს.

ასევე, ცნობისთვის, კონგოში ჩამოვარდნილი ქართული თვითმფრინავი 1996 წლიდან დაფრინავდა. CRJ 100 თვითმფრინავის კატასტროფა ამ მოდელის მფრინავი აპარატებისთვის პირველი არ ყოფილა. ოფიციალური სტატისტიკით, ეს კატასტროფა მეთორმეტეა.

ეს მოდელი რეგიონული გადაზიდვებისთვის გამიზნულ ვიწროფიუზელაჟიან თვითმფრინავებს განეკუთვნება. პირველი მოდიფიკაცია — სი-ერ-ჯეი 100 ექსპლუატაციაში 1991 წელს შევიდა. ის თანამედროვე ორმოცდაათადგილიანი თვითმფრინავების ერთ-ერთი პირველი მოდელია.

1991 წლიდან დღემდე აგებულია ხუთი განსხვავებული მოდიფიკაციის 543 საფრენი აპარატი. მისი სიგრძე 29,9 მეტრია; ფრთების გაშლა — 21,21 მ; მაქსიმალური სიჩქარე — 860 კმ.სთ; ფრენის სიშორე — 1800 კმ; ფრენის ჭერი — 12500 მ; წონის მაქსიმალური შეზღუდვა — 21 ტონა; 50 მგზავრის გადაყვანას ოთხკაციანი ეკიპაჟი უზრუნველყოფს.

# უზენაესი სასამართლოს განცხადება

ბოლო ორი დღის მანძილზე უზენაესი სასამართლოს წინ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა თუ ამ პარტიებს მიკუთვნებულ ადვოკატთა საპროტესტო აქციები იმართება.



მომიტინგეების მოთხოვნები და ‘ქცევის წესები‘‘ ერთნაირია: შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, პოლიტიკოსისა თუ ადვოკატისთვის შეუფერებელი ქცევა და ზოგადი, თეატრალიზებული ლოზუნგებით საზოგადოების ყურადღების მიპყრობის მცდელობა. აქციის მონაწილეების მიზანს წარმოადგენს სასამართლოსა და კონკრეტულად მათთვის საინტერესო საქმის განმხილველ მოსამართლეზე ზეწოლის მცდელობა.

უზენაესი სასამართლო კიდევ ერთხელ კატეგორიულად აცხადებს, რომ მსგავსი აქციებით მისი მონაწილეები სასამართლოზე ზემოქმედებას ვერ შეძლებენ. სასამართლო ყოველთვის იხელმძღვანელებს მხოლოდ კანონით და ამასვე მოუწოდებს იმ ადვოკატებს, რომლებიც ამ აქციებში მონაწილეობით და წინასწარი შეურაცხმყოფელი ვარაუდების გამოთქმით არღვევენ ადვოკატის ეთიკის კოდექსსაც. ‘სამართლიანი სასამართლოს‘‘ უფლება სასამართლოს ისტორიული შენობისთვის კვერცხების სროლით არ მიიღწევა. ეს უფლება თითოეული ადვოკატის მიერ პროცესზე მაღალპროფესიული დაცვით მიიღწევა და არა საკუთარი კლიენტის ინტერესების მანიპულირებით და მარცხის სხვაზე გადაბრალებით.

სამართლიანი სასამართლოს უფლება ასევე მიიღწევა ზედა ინსტანციებში გასაჩივრებით.

სწორედ, ის ადვოკატები აღწევენ შედეგს, რომლებიც არ არღვევენ ადვოკატის ეთიკის წესებს, რომლებიც ყოველდღიურად მუშაობენ საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე და მხოლოდ სამართლებრივი გზით აღწევენ მიზანს. ამ კატეგორიის ადვოკატთა მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილებების 25-30 პროცენტი კი სააპელაციო სასამართლოებში განსასჯელების სასარგებლოდ სრულდება.

ადვოკატები არ უნდა იყვნენ დაინტერესებულნი მხოლოდ ფინანსებით. საჩივრის დაწერის დროს ისინი სასამართლოს პრაქტიკას უნდა იცნობდნენ და სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრებს დასაბუთებულად უნდა წერდნენ. ხოლო თუკი რომელიმე ადვოკატი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოსამართლის ბრალეულ ქმედებას ხედავს, ამ შემთხვევაში სამართლებრივი გზა იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის მიმართვაა, რომელიც შეისწავლის მოსამართლის ქმედებას და კომპეტენტურ გადაწვეტილებას მიიღებს.

ასეთი წესები არსებობს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში და იქ ადვოკატები ამ წესებს ემორჩილებიან, რადგან ისინი უფრთხილდებიან საკუთარ პროფესიულ იმიჯს და რეპუტაციას.

ადვოკატი, რომელიც სასამართლოს შეურაცხყოფით საკუთარი კარიერის აწყობას და კლიენტის მოზიდვას ცდილობს, თავიდანვე განწირულია პროფესიული მარცხისთვის. ასეთმა ადვოკატებმა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გააკეთონ არჩევანი – ან სამართლებრივი და კანონიერი საქმიანობა კლიენტის უფლებების დასაცავად, ან პოლიტიკური მოძრაობის წევრობა და ქუჩის აქციები. უზენაესი სასამართლო ყველას გასაგონად აცხადებს, რომ სასამართლო არის ადგილი, სადაც მხარეები ერთმანეთს ეჯიბრებიან მხოლოდ მტკიცებულებების, მხოლოდ კანონისა და მხოლოდ საკუთარი პოზიციის უკეთ წარმოსაჩენად. სასამართლო იკვლევს ამ პოზიციებს და უკეთესი სამართლებრივი მდგომარეობის მქონე მხარე იმარჯვებს.

ვერანაირი აქციები და ზეწოლა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ვერ იმოქმედებს. აქედან გამომდინარე, აქციის მონაწილე ადვოკატებს ვურჩევთ, საკუთარი პოზიციების დასაცავად მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო დარბაზები გამოიყენონ.

## „ეროვნული საბჭო“ აქციის მონაწილეების დაპატიმრებას აპროტესტებს

„ეროვნული საბჭო“ უზენაეს სასამართლოსთან აქციის მონაწილეების დაპატიმრებას აპროტესტებს.

— ხელისუფლებისთვის მშვიდობიანი პროტესტის ფორმა მიუღებელია. პენიტენციარულ სისტემაში არსებული პრობლემების გამოაშკარავებამ, პატიმრების რიცხვის კოლოსალურმა ზრდამ და წამების ფაქტების გამოვლენამ ხელისუფლებაში პოლიტიკური შიში უფრო გაამძაფრა და მისი ნებისმიერი ქმედება კანონსაწინააღმდეგო გახადა, — აღნიშნულია საბჭოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ეროვნული საბჭო“ მიმართავს ხელისუფლებას, შეწყვიტოს აქციის მონაწილეებზე ფიზიკური ზეწოლა და დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს 25 მარტს და 4 აპრილს დაპატიმრებული მშვიდობიანი აქციის მონაწილეები.

უზენაეს სასამართლოსთან 4 აპრილს „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ორგანიზებით აქცია „მე(ც) პატიმარი ვარ!“ გაიმართა. აქცია პოლიციასთან დაპირისპირებაში მას შემდეგ გადაიზარდა, რაც აქციის მონაწილეებმა უზენაესი სასამართლოს შენობას კვერცხები დაუშინეს. ინციდენტის დროს აქციის 10 მონაწილე დააკავეს.

ინტერპრესნიუსი

## ბათუმის პორტში აღმოჩენილი რადიოაქტიური ნივთიერება „ცეზიუმ-137-ია“

ბათუმის პორტში აღმოჩენილი რადიოაქტიური ნივთიერება „ცეზიუმ-137-ია“, რომელიც გავრცელებული სამრეწველო იზოტოპია და მრეწველობაში ხშირად გამოიყენება.

ეს დასკვნა საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში ბირთვული და რადიოაქტიური უსაფრთხოების სამსახურის სპეციალისტებმა გააკეთეს. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელ ზაზა ლომთაძის მტკიცებით, ეს ნივთიერება სიცოცხლისთვის საშიში არ არის.

შეგახსენებთ, რომ ბათუმის პორტში რადიაცია დაფიქსირდა. აღნიშნულის გამო ნავსადგურში მუშაობა შეჩერდა და თანამშრომლების ევაკუაცია მოხდა. ადგილზე საგანგებო სიტუაციათა სამსახურები მუშაობენ. ქალაქში დამატებითი ბრიგადები თბილისიდანაც გაემგზავრნენ. ბათუმში რადიოაქტიული ნარჩენები გვიან ღამით, ჯართით დატვირთულ სარკინიგზო ვაგონში აღმოაჩინეს.

მედიანიუსი

## გაჩეჩილაძემ და ბურჯანაძემ ხალხის პროტესტი გაფლანგეს



პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლაღიძის განცხადებით, დღეს ორი პოლიტიკური სუბიექტი — ნინო ბურჯანაძე და ლევან გაჩეჩილაძე რევოლუციების დაანონსებით, რუსეთის დახმარებით საზოგადოების კიდევ ერთხელ შეცდომაში შეყვანას ცდილობენ, რაც საბოლოო ჯამში, სააკაშვილის რეჟიმს ხელისუფლებაში ყოფნას კიდევ უფრო გაუხანგძლივებს.

ლაღიძე მიიჩნევს, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შესაცვლელია გამომდინარე მის მიერ ქართველი ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულებიდან, თუმცა ეს დემოკრატიული არჩევნების გზით უნდა მოხდეს.

— ბოლო პერიოდში გახშირდა პოლიტიკური სუბიექტების მხრიდან დაანონსებული რევოლუციების თემა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ პოლიტიკოსებმა, ვისგანაც ჩვენ დღეს ამგვარი განცხადებები გვესმის, ქართული საზოგადოება ჩიხში არაერთხელ შეიყვანეს. კერძოდ ლევან გაჩეჩილაძისა და ნინო ბურჯანაძის უშუალო ლიდერობით ფუჭად გაიფლანგა 2009 წლის გაზაფხულზე ქუჩაში გამოსული ადამიანების გულწრფელი ემოციები, რაც საბოლოო ჯამში, მთლიანად ოპოზიციური სპექტრის იმიჯზე უარყოფითად აისახა. დღეს ორი პოლიტიკური სუბიექტი ბურჯანაძე და გაჩეჩილაძე რუსეთის დახმარებით საზოგადოების კიდევ ერთხელ შეცდომაში შეყვანას ცდილობენ, რაც საბოლოო ჯამში, სააკაშვილის რეჟიმს ხელისუფლებაში ყოფნას გაუხანგძლივებს. პარტია „მომავალი საქართველო“ ცალსახად აფიქსირებს თავის მოსაზრებას, რომ მიხეილ სააკაშვილი და ხელისუფლება შესაცვლელია ვინაიდან უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე. დადგა დრო ოპოზიციური პარტიები და საზოგადოება ერთად მოვემზადოთ დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად, რათა ერთხელ და სამუდამოდ სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებას ჩამოვაშოროთ, — განაცხადა ლაღიძემ.

მედიანიუსი

## „სამართლიანი საქართველოსთვის“ აქციის მონაწილეთა დაკავებას აპროტესტებს

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ უზენაეს სასამართლოსთან აქციის მონაწილეთა დაკავებას აპროტესტებს.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ პატიმართა მხარდამჭერი აქციების მონაწილე „წინააღმდეგობის მოძრაობის“, დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის, „ქართული პარტიის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის რამდენიმე წევრის დაკავებას გმობს და სოლიდარობას უცხადებს აქციების დროს დაკავებულ პირებს და მათ უპირობო გათავისუფლებას მოითხოვს.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# „ნორა კვიციანი იმიტომ არის დაკავებული, რომ ძებნილის დაა“

ნანა მიშელაშვილი

ოპოზიციონერი დეპუტატები გიორგი ტუღუშის ანგარიშს დადებითად აფასებენ და მის სიმწვავეზე საუბრობენ. სახალხო დამცველის ანგარიში, რომელიც 2010 წელს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებულ ვითარებას შეეხება, ერთი თვის მანძილზე განხილვისა და კამათის მიზეზი იქნება.

ოპოზიციონერი დეპუტატების ნაწილი ამ ანგარიშის თემატურად დაყოფას და ისე განხილვას მოითხოვს, ნაწილს კი — მიაჩნია, რომ ანგარიშის განხილვა მაისის თვემდე უნდა მოხდეს.

„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია სახალხო დამცველის ანგარიშის თემატურად დაყოფას მოითხოვს. ბაღათურიას განცხადებით, ეს ანგარიში სრულყოფილი იქნებოდა, მასში ორი კომპონენტიც რომ იყოს ასახული. კერძოდ, პოლიტპატიმრების საკითხი და კერძო საკუთრების უფლების აღდგენის აუცილებლობა.



ბაღათურიამ ხაზი იმასაც გაუსვა, რომ სახალხო დამცველის დოკუმენტში უკანონო პატიმრებზე საუბარი არის, თუმცა, აქვე უნდა ყოფილიყო პოლიტპატიმრების სია, რომელიც ნორა კვიციანით უნდა დაიწყოს. დეპუტატის შეფასებით, ნორა კვიციანი პატიმრობაში მხოლოდ იმიტომ იმყოფება, რომ ერთ-ერთი ძებნილის დაა.

ბაღათურია დეპუტატებს სთავაზობს სახალხო დამცველის ანგარიში პარლამენტის კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე თემატურად დაიყოს და ისე იყოს განხილული. კერძოდ, ცალკე ისაუბრონ პენიტენციალურ სისტემასა და პატიმრებზე, ცალკე დევნილებზე და ასე შემდეგ.

ბაღათურიას თქმით, ამის შემდეგ უნდა დადგეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხებიც, რადგან იკვეთება კრიმინალური დანაშაული ამა თუ იმ პირების მიმართ.

— ბოლოს და ბოლოს, ავიღოთ თავზე პასუხისმგებლობა, როგორც პარლამენტმა და რეაგირების გარეშე არ დარჩეს სახალხო დამცველის ანგარიშში მოყვანილი კრიმინალური ფაქტები, — აღნიშნა ბაღათურიამ.

სახალხო დამცველის ანგარიში პარლამენტში რამდენიმე დღის წინ შევიდა. ანგარიში 600 გვერდიანია და ის სხვადასხვა სფეროსა და მიმართულებას შეეხება.

ჯონდი ბაღათურიას პასუხი გასცა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ლაშა თორდიამ. მისი განცხადებით, ბოლო დღეების განმავლობაში ღია კარის მტვრევას აქვს ადგილი და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობენ.

ლაშა თორდიას განცხადებით, სახალხო დამცველის ანგარიში 600 გვერდიანია და მას დეტალურად შესწავლა სჭირდება. მისივე განმარტებით, ომბუდსმენი არის პარლამენტის კრიტიკული თვალი, მეორე თვალი არის კომიტეტი, რომელიც შეისწავლის საკითხებს, რა ღონისძიებები გატარდა. — ყოველგვარი აჟიტირების გარეშე გავიაროთ სახალხო დამცველის ანგარიში და ადეკვატური გადაწყვეტილება მივიღოთ, — აღნიშნა ლაშა თორდიამ

საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ განაცხადა, ოპოზიცია ცდილობს, ისე წარმოაჩინოს, თითქოს უმრავლესობა თავს არიდებს სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვას და უნდობლობას უცხადებს მას.

— ჩვენ სერიოზულად ვუდგებით ამ ანგარიშს, — მიმართა თორდიამ „ქართული დასის“ ლიდერს, რომელმაც უმრავლესობა სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვის გაჭიანურებაში დაადანაშაულა.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს და საპარლამენტო უმრავლესობას ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარემ გიორგი ახვლედიანმაც მიმართა. ახვლედიანმა პარლამენტს მოუწოდა, დაინტერესდნენ იმ ადამიანების უფლებების დარღვევის ფაქტებით, რომლებიც ადმინისტრაციულ პატიმრობაში იმყოფებიან.

გიორგი ახვლედიანის განცხადებით, სახალხო დამცველის ამ ანგარიშში ვერ შევიდოდა ის ფაქტები, რომელიც ბოლო ორი კვირის განმავლობაში მოხდა, მაგრამ მასზე პარლამენტმა ყურადღება უნდა გაამახვილოს. ახვლედიანის თქმით, რამდენიმე ადამიანს, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის არის დაკავებული, შესაბამის სასჯელაღსრულების ადგილებში ელემენტარული ჰიგიენური პირობებიც კი არ აქვს. დეპუტატის თქმით, მათ საშუალება არა აქვთ, თან იქონიონ გამოსაცვლელი ტანსაცმელი, პირსახოცი, ლოცვანი, გავიდნენ სუფთა ჰაერზე და ა.შ. ეს კი არაადამიანური მიდგომაა. — ადამიანები ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის 20-20 დღით არიან დაკავებულნი, მაგრამ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში რატომღაც გადაწყვიტეს, რომ ეს 20 დღე ამ პირთა საწამებელი უნდა იყოს. იქნებ, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდიასა და მის მოადგილეს მიეცეს საშუალება, მათ მდგომარეობას ადგილზე გაეცნონ, — აღნიშნა გიორგი ახვლედიანმა.

სახალხო დამცველის ანგარიშის განხილვასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარემ განმარტება გააკეთა. დავით ბაქრაძის განცხადებით, ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1 თვის ვადაში საკითხის შესწავლა და ომბუდსმენის ანგარიშის სხდომაზე გატანა მოხდეს.

სახალხო დამცველის ანგარიში საკმაოდ კრიტიკული და მწვავეა. მასში მოყვანილია რამდენიმე ფაქტი, რომელიც ზოგიერთი თანამდებობის პირის მიერ კანონის დარღვევის ფაქტებს შეეხება. დარღვევის ფაქტების პარალელურად, სახალხო დამცველს სხვადასხვა უწყების მიმართ საკუთარი რეკომენდაციებიც აქვს.

# ისრაელი აფხაზეთს არასდროს აღიარებს

თეა მარხვაიძე

2004 წელს, როცა აფხაზეთის აღიარება რუსეთსაც კი არ ელანდებოდა სიზმარში, სოხუმის რეჟიმმა საინტერესო განცხადება გააკეთა. ვალერი არშბამ მაშინ განაცხადა, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც აფხაზეთს აღიარებდა, ისრაელი იქნებოდა. 2004 წელს ეს განცხადება ყველამ არასერიოზულად აღიქვა. არასერიოზულად იქნა აღქმული 2008 წელს სერგეი შამბას გაკეთებული განცხადებაც. სამი წლის წინ შამბა ვარაუდობდა, რომ რუსეთის შემდეგ აფხაზეთს ისრაელი აღიარებდა.

ისრაელის მიერ აფხაზეთის შესაძლო აღიარება მაშინვე უარყო რუსეთში ისრაელის ელჩმა. სამი წლის შემდეგ კი ისრაელის საინფორმაციო პორტალი გვაცნობებს, რომ ისრაელმა შესაძლოა აფხაზეთი აღიაროს. ცნობილი ხდება ისიც, რომ მარტში ისრაელს აფხაზური დელეგაცია სტუმრობდა. სეპარატისტებმა აღთქმულ მიწაზე რამდენიმე შეხვედრა გამართეს.

თბილისში დარწმუნებული არიან, რომ ისრაელი არავითარ შემთხვევაში არ აღიარებს აფხაზეთს. რატომ არ გადადგამს ისრაელი ამ ნაბიჯს, რატომ ვერაფერს დააკლებს ბიზნესმენების საქმე ქართველების და ებრაელების 26 საუკუნოვან მეგობრობას, ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერი გიგი წერეთელი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***— აფხაზი სეპარატისტები ჯერ კიდევ 7 წლის წინ ამბობდნენ, რომ ისრაელი მათ დამოუკიდებლობას აღიარებდა. ამ დღეებში „იზრუსმა“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ შესაძლოა ისრაელი აფხაზეთის აღიარებაზე დაფიქრდეს. მართლა შეიძლება ასეთი რამე მოხდეს?***

— მე ასეთი რამე წარმოუდგენლად მიმაჩნია. ისრაელი არის ქვეყანა, რომელთანაც მჭიდროდ ვთანამშრომლობთ. აღარაფერს აღარ ვამბობ ჩვენს ნათესაურ კავშირებზე. ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილი, რომლებიც ებრაულ თემს წარმოადგენენ, ცხოვრობენ ისრაელში. ისინი საქართველოს ძალიან ერთგული შვილები არიან. ისრაელში საქართველოს მიმართ სხვანაირი დამოკიდებულებაა.

***— ჩვენ მიმართ მართლაც სხვანაირი დამოკიდებულება იყო. ებრაელი ბიზნესმენების დაკავებამ, როგორც ამბობენ, ეს დამოკიდებულება შეცვალა.***

— ამ მოსაზრებას მე ვერ დავეთანხმები. ებრაელი ბიზნესმენების დაკავება ჩვენს ურთიერთობებს ვერ გააფუჭებს. მათი დაკავება კონკრეტული საქმის კონკრეტული ეპიზოდია, რომელიც დიდ პოლიტიკაზე არ მოქმედებს. ჩვენ ისიც გვესმის, რომ ისრაელში მათი დაკავება ბევრს ეწყინა. მათი დაკავება საქართველოშიც ეწყინათ.

***— ვის ეწყინა?***

— ყოველ შემთხვევაში, არავის არ გახარებია. მათი დაკავება მე პირადად ძალიან მეწყინა.

***— რატომ გეწყინათ?***

— მათ შეეძლოთ საქართველოში კარგი საქმეები ეკეთებინათ. ინვესტიციების ჩადებით შეეძლოთ თავადაც ენახათ მოგება და ქვეყანაც ეხეირებინათ. სამწუხაროდ, მათ ცოტა სხვა გზით მოუწიათ სიარული.

***— ეგ ჩვენ ვამბობთ, რომ მცდარი გზით მოუწიათ. ამბობენ, რომ ეს საქმე ჩვენი ხელისუფლების მიერ არის შეთითხნილი?***

— როგორ არის ხელისუფლების მიერ შეთითხნილი? მე დეტალები კარგად არ ვიცი. სამაგიეროდ, იმაში დარწმუნებული ვარ, რომ ეს საქმე შეთითხნილი არ იქნება. ამაში დარწმუნებული გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში მიმდინარე მოვლენების გამოც ვარ. მაშინ ძალიან ბევრი რამე მოხდა. მაშინ მიღებული გაკვეთილები დღესაც მწარედ გვახსოვს. სამოქალაქო ომის გარდა, აქ ბევრი უბედურება ტრიალებდა. ძალიან ცუდი პროცესები მიმდინარეობდა ეკონომიკური კუთხითაც. მიდიოდა ქვეყნის გაჩანაგება. იშვიათად გაუძარცვიათ სადმე ჩვენნაირად საკუთარი ქვეყანა. ამან საქართველოს ძალიან მძიმე დაღი დაასვა. მაშინ ბევრი რამე ნიავდებოდა. საბედნიეროდ იმ პერიოდში მე პოლიტიკაში არ ვმონაწილეობდი. რატომღაც ჰგონიათ, რომ მე ბავშვობიდან პოლიტიკაში ვარ.

***— რატომღაც ასე ჩანს, რომ თქვენ სულ პოლიტიკაში და სულ მმართველ გუნდში ხართ.***

— ბევრს ჰგონია. რაც ასე ნამდვილად არ არის. მე პარლამენტში მოვედი 1999 წელს.

***— შავბნელი წარსული, გამოდის, რომ არა გაქვთ...***

— იმ საშინელ პერიოდში ექიმი ვიყავი. ასე ვთქვათ, გარედან ვუყურებდი პოლიტიკურ მოვლენებს. მერე საზღვარგარეთ წავედი. იქ ბიზნესში ვიყავი.

***— თქვენც რაღაცნაირად ექიმი, ლიდერი, მეწარმე გამოდიხართ.***

— შეიძლება ასე ითქვას. იმ პერიოდში ძალიან ბევრი ხელშეკრულება არასწორად გაფორმდა. სერიოზულად ჰქონდა ფეხი მოკიდებული კორუფციას. ქრთამის აღება მაშინ ლამის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ბევრი რამ არასწორად ხდებოდა. ებრაელი ბიზნესმენების საქმეც იმ პერიოდის გაგრძელებაა. მათი დაკავება ისევე, როგორც ისრაელში, საქართველოშიც ეწყინათ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფაქტი ჩვენს მრავალსაუკუნოვან მეგობრობაზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს.

***— იქნებ უკვე მოახდინა. მარტში ისრაელში არ შეუშვეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე და ეკონომიკის მინისტრი.***

— მე არ ვიტყოდი, რომ ქობალი ანდა ბაქრაძე ისრაელში არ შეუშვეს. მათ უბრალოდ სთხოვეს ვიზიტი გადაედოთ. ასეთი რამეები ხდება ხოლმე. ეს განსაკუთრებული ამბავი არ არის. მე ამ პერიოდში შევხვდი ისრაელის პარლამენტის ქნესეტის წევრებს.

***— ისრაელში შეხვდით?***

— არა, ისრაელში არ ვყოფილვარ. ჩვენი შეხვედრა ვენაში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე შედგა.

***— როგორ ჩაიარა ამ შეხვედრამ?***

— ძალიან თბილი და კარგი შეხვედრა იყო. ებრაელი ბიზნესმენების დაკავება ჩვენი საუბრის მთავარი თემა არ ყოფილა. კიდევ ვიმეორებ, რომ მათი დაკავება არავის არ უხარია. თუმცა არსებობს ფაქტები და მტკიცებულებები. ასე რომ, ყველაფერი სასამართლოს გადასაწყვეტია. დაკავებულებს განაჩენის გასაჩივრება შეუძლიათ.

***— ისრაელში აფხაზური დელეგაციის ჩასვლაზე რას იტყვით. ეს ვიზიტი რატომ მაინცდამაინც მას შემდეგ შედგა, როცა ჩვენ შორის ვითარება დაიძაბა.***



— მე არ ვიცი იმყოფებოდა თუ არა აფხაზური დელეგაცია ისრაელში. ამ საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია არა მაქვს. თუ ასეთი ვიზიტი მართლაც შედგა, ეს არ იქნებოდა ოფიციალური სახის. ეს ყველაფერი მოხდებოდა პირადი კონტაქტების საფუძველზე.

***— თქვენც თვლით, რომ იქ მათ ჩასვლას ხელი ჩერქეზულმა დიასპორამ შეუწყო?***

— რატომ მარტო ჩერქეზულმა დიასპორამ. ძალიან ბევრი ებრაელი ცხოვრობდა სოხუმში. ისინი მერე წავიდნენ ისრაელში. ისინი აფხაზებთანაც მეგობრობენ. მათთანაც აქვთ ნათესაური კავშირი. არა მგონია პირადი კონტაქტები ვინმემ პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს. ისრაელის ხელისუფლება ასეთ რამეს არ დაუშვებს. არ დაუშვებს იმიტომ, რომ მათ ძალიან კარგად იციან, რას ნიშნავს სეპარატიზმი. იციან, რას ნიშნავს რეგიონალური პრობლემები. ისინი არავითარ შემთხვევაში არ მიიღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ჩვენს ძმობას ჩრდილს მიაყენებს.

***— დარწმუნებული ხართ, რომ ასე არ მოხდება?***

— ამაში ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ კითხვები დაისვას. ჩვენს დიპლომატიურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში არანაირი ცვლილებები არ მოხდება ამ კონკრეტული ფაქტის გამო.

## გონიოს მოსახლეობა შველას ითხოვს

„სახალხო წარმომადგენლობითი კრება“ აჭარაში მიწათმოწყობით დაზარალებულ მოსახლეობას თანადგომას უცხადებს.

ამასთან დაკავშირებით დღეს, კრების ოფისში, კრების აღმასრულებელი საბჭოს წევრები, აჭარაში, კერძოდ კი სოფელ გონიოში მიწათმოწყობით დაზარალებული ოჯახების წარმომადგენლებს შეხვდებიან.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ „სახალხო კრების“ პრესსამსახურიდან აცნობეს, შეხვედრის დაწყებამდე, 15:00 საათზე, გაიმართება საინფორმაციო ბრიფინგი.

მათი ცნობით, გონიოში მცხოვრებ 271 ოჯახს, მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით მიწები საჩუქრად გადაეცათ, თუმცა მოგვიანებით მათ ეს მიწები, რომლის საერთო ფართი 56 ჰექტარს შეადგენს, ისევ ჩამოართვეს. ჩამორთმევის ოფიციალურ მიზეზად კი დასახელდა ის, რომ მიწები ისტორიულ ზონას ეკუთვნის.

**ინტერპრესნიუსი**

## ნოღაიდელის პარტიას სკოლამდელი დაწესებულების რეფორმა არ მოსწონს

ზურაბ ნოღაიდელის პოლიტიკური გაერთიანება „სამართლიანი საქართველოს“ განათლების კომისიის წევრი მანანა ნიკოლაიშვილი 2007 წლის ზაფხულში ხელისუფლების მიერ სკოლამდელი დაწესებულებების სისტემაში გატარებულ რეფორმას დანაშაულებრივს უწოდებს.

— დღეის მდგომარეობით საკმარისი არ არის სახელმწიფო ბაგა-ბაღებში აღსაზრდელთათვის ადგილები. განტვირთვისა და სხვა მოსაზრებების გამო, ხელისუფლებას სურს მიიღოს ქალაქ თბილისში მხოლოდ სოციალურად დაუცველი ოჯახების შვილები და სხვები კი წავიდნენ კერძო ბაღებში. ხელისუფლება არ კითხულობს, არსებობს თუ არა კერძო ბაღების ქსელი და შეძლებს თუ არა ყველა ოჯახი მინიმუმ 200 და 250 ლარის გადახდას, — განაცხადა დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ნიკოლაიშვილმამისი თქმით, საქართველოს მთავრობა არღვევს ქვეყნისა თუ საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ხელისუფლებას აღებული აქვს ვალდებულება, განახორციელოს ადრეული ასაკის ბავშვთა განვითარების პრინციპები, ყველა ბავშვისათვის ხელმისაწვდომი გახადოს სკოლამდელი განათლება. ეს საჭიროა იმისათვის, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს ბავშვის სკოლისათვის მზაობა.

„სამართლიანი საქართველო“ მოსახლეობას მოუწოდებს, თითოეულ ბავშვზე მკაცრად მოითხოვონ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურება, ხოლო ხელისუფლებამ შემცირებული, ლიკვიდირებული ბაგა -ბაღები ბავშვებს დაუბრუნოს და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში თანადაფინანსების პრინციპის აღადგინოს.

**მედიანიუსი**

## ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას პროვოკაციაში ადანაშაულებს

„ლეიბორისტული პარტია“ რამდენიმე დღის წინ, ქუთაისში მათი პარტიის მიმდებარე ტერიტორიაზე ასაფეთქებელი ნივთიერების აღმოჩენის ფაქტს ხელისუფლების მორიგ პროვოკაციად აფასებს.

ამის შესახებ პარტიის ლიდერებმა საგანგებო ბრიფინგი პარტიის ქუთაისის ოფიში გამართეს. პაატა ჯიბლაძის განცხადებით, მომხდარი ფაქტი ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციაა და ის პარტიის აქტივისტების დაშინებას ემსახურება, თუმცა ამის მიუხედავათ, ჯიბლაძის განცხადებით, პარტიის ქუთაისის ოფისის თანამშრომლები აქტიურად განაგრძობენ მუშაობას.

— მსგავსი ქმედებებით ხელისუფლება „ლეიბორისტულ პარტიას“ და მის თანამშრომლებს ვერ დააშინებს ჩვენ საქმიანობას უფრო აქტიურად განვაგრძობთ, — განაცხადა ჯიბლაძე.

მისივე თქმით, ამ ფაქტის შემდეგ „ლეიბორისტულ პარტიაში“ გაწევრიანების მსურველი ადამიანების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა.

**ინტერპრესნიუსი**

# კახა კუკავას ებრალიძე აფინანსებს?!

## ქართული მინერალური წყლები და ალკოჰოლური პროდუქცია რუსეთის ბაზარზე 2911 წლის ბოლომდე დაბრუნდება

ქეთი ხომერიკი

ვისთან მართავდა შეხვედრებს მოსკოვსა და პეტერბურგში, რას დაჰპირდნენ რუსეთის პარლამენტის ფრაქციის ხელმძღვანელები, რისი მზადყოფნა გამოთქვა ალექსანდრე ებრალიძემ, როდის დაბრუნდება ქართული მინერალური წყლები და ალკოჰოლური პროდუქცია რუსეთის ბაზარზე და გახდება თუ არა ალექსანდრე ებრალიძე „თავისუფალი საქართველოს" დამფინანსებელი? ამ საკითხებზე „ახალ თაობას" მოსკოვიდან ახლახან დაბრუნებული „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა ექსკლუზიურად ესაუბრა.

***— რა მიზანს ემსახურებოდა თქვენი მოსკოვურ-პეტერბურგული ვოიაჟი, ვლადიმერ ხომერიკისა და ალექსანდრე ებრალიძის გარდა, კიდევ ვისთან მართავდით შეხვედრებს, რაც ჩაიტანეთ, ის ჩამოიტანეთ თუ სამშობლოში რაიმე კონკრეტული შედეგით დაბრუნდით, ბატონო კახა?***

— „თავისუფალ საქართველოს" გამოცხადებული აქვს კურსი, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მოწესრიგებას ითვალისწინებს. ჩვენ მხარს ვუჭერთ რუსულ-ქართული პრობლემების მოგვარებას მოლაპარაკებებისა და დიალოგის გზით. აქედან გამომდინარე, ჩვენ რეგულარულად, წელიწადში რამდენჯერმე ვგეგმავთ ვიზიტებს მოსკოვსა და პეტერბურგში. რუსეთში ვხვდებით როგორც პოლიტიკური წრეების, ისე საზოგადოების წარმომადგენლებს და განვიხილავთ იმ აქტიურ პრობლემატიკას, რომელიც რუსულ-ქართული ურთიერთობების შემადგენელი ნაწილია. მოგეხსენებათ, ჩვენი მთავარი პარტნიორი ქართული დიასპორაა, რომელსაც ბატონი ალექსანდრე ებრალიძე ხელმძღვანელობს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენ ყველა ვიზიტის, მათ შორის, ბოლო ვიზიტის დროსაც გვქონდა შეხვედრა ბატონ ალექსანდრესთან პეტერბურგში. რაც შეეხება მოსკოვს, ვიმეორებ, რომ ჩვენ იქ ვმართავთ ხოლმე შეხვედრებს რუსეთის პარლამენტის ყველა ფრაქციის ხელმძღვანელებთან. ეს რაც შეეხებოდა იმას, თუ ვის ვხვდებით. ახლა რაც შეეხება იმას, თუ რა თემატიკაზე ვხვდებით ამ ადამიანებს. თემატიკა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ის საკითხებია, რომელიც აფხაზეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების მოწესრიგებას უკავშირდება. ეს არის თემატიკა, რომელიც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა. მეორე მიმართულება კი, რომელიც ჩვენთვის ასევე საინტერესოა, არის ეკონომიკური, სავაჭრო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების აღდგენა.

***— თქვენს შეხვედრებზე იქნებ უფრო დეტალურად გვესაუბროთ და გვითხრათ, რუსეთის პარლამენტის ფრაქციის ხელმძღვანელებმა თქვენ მიერ წარმოდგენილ წინადადებებს რითი უპასუხეს, რას დაგპირდნენ და რუსეთთან ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა რამდენად შესაძლებელია, რა გითხრეს რუსმა პარლამენტარებმა, ამის შანსი არსებობსო?***

— ჩვენ საკმაოდ სერიოზული შეხვედრები გვქონდა და თუ ვისთან, ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ვიმეორებ, შეხვედრები გვქონდა პარლამენტის ფრაქციებთან და ჩვენ ვისაუბრეთ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტების დარეგულირების და ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენაზე. ეს იყო მიმართულებები, რომლებიც, ვფიქრობ, ნამდვილად სერიოზულია. რაც შეეხება იმას, არსებობს თუ არა შანსი იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები აღდგეს, გეტყვით, რომ დიახ, ამის შანსი რეალურად არსებობს. ქართული მინერალური წყლებისა და ალკოჰოლური პროდუქციის დაბრუნება რუსეთის ბაზარზე სავსებით შესაძლებელია. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთის პარლამენტის ეკონომიკურ კომიტეტთან მოლაპარაკებები გავმართეთ და ჩვენ შორის ამასთან დაკავშირებით წინასწარი შეთანხმებებიც კი შედგა, თუმცა, მთელი რიგი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადებაა საჭირო იმისთვის, რომ ეს რეალურად მოხდეს.




***— ანუ რუსეთის პარლამენტის ეკონომიკურ კომიტეტში დაგპირდნენ, რომ ქართული მინერალური წყლები და ალკოჰოლური პროდუქცია რუსეთის ბაზარზე დაბრუნდება და ეს როდისთვის იქნება შესაძლებელი?***

— დიახ, ამ საკითხთან დაკავშირებით წინასწარი შეთანხმება უკვე შედგა. ქართული მინერალური წყლები და ალკოჰოლური პროდუქცია რუსეთის ბაზარზე 2011 წლის ბოლომდე დაბრუნდება.

***— ბატონო კახა, ოპოზიციის წარმომადგენელს ეს რამდენად ხელეწიფება, ორ ქვეყანას შორის კონკრეტულ საკითხებზე რიგი შეთანხმებების მიღწევა ხომ ხელისუფალთა პრეროგატივაა?***

— მერე რა, ამ შემთხვევაში ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების დადება აუცილებელი სულაც არ არის. ამ კონკრეტულ შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლების ცალმხრივი გადაწყვეტილება სავსებით საკმარისია, ანუ ეს არ ხორციელდება ფორმალურად, ეს სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება არ არის. თუმცა, ამ შემთხვევაში ჩვენ, რა თქმა უნდა, არა მარტო ჩვენს პარტიას წარმოვადგენთ, არამედ — მთლიანად ქართველი საზოგადოების ინტერესებს.

— გვსურდა ჩამოვყალიბებულიყავით, როგორ გვეიძულებინა საქართველოს ხელისუფლება, მიეღო სწორი გადაწყვეტილებები. ეს ხელისუფლება არ მიდის საარჩევნო გარემოს შეცვლამდე, — განაცხადა ვლადიმერ ხომერიკმა. ეს რას ნიშნავს, როგორ ან რატომ უნდა აიძულოთ ხომერიკთან ერთად საქართველოს ხელისუფლება, რომ მიიღოს სწორი გადაწყვეტილებები და რაზე ჩამოყალიბდით?

***— ეს არის კონსულტაციების საგანი. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციებს ვმართავთ. რაზე ჩამოვყალიბდით? საბოლოო გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიგვიღია, ამ ეტაპზე მეტს ვერაფერს გეტყვით.***

— ჩვენ დავაზუსტეთ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა და დავპირდით დახმარებას, ამიტომ ალიკა ებრალიძე მზადაა, კუკავას დაეხმაროს კანონის ფარგლებში, — განაცხადა ხომერიკმა, ანუ ალექსანდრე ებრალიძე მზადაა, დაგაფინანსოთ და ამას დაგპირდათ კიდეც?

— ჩვენ შევხვდით ალექსანდრე ებრალიძეს და ვისაუბრეთ რუსეთ-საქართველოს პრობლემატიკაზე. ბატონი ალექსანდრესგან არანაირი დაპირება არ მიგვიღია. ეს, უბრალოდ, ებრალიძის პოზიციაა და მეტი არაფერი. დაფინანსება განხილვის საგანი არ ყოფილა. ალექსანდრე ებრალიძე მზადაა, რომ დაგვაფინანსოს, თუმცა, კიდევ ერთხელ გეუბნებით, ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი მოლაპარაკებები არ გვქონია და არც გვაქვს. თუკი ასეთი მოლაპარაკებები და შეთანხმება შედგება, ეს, რა თქმა უნდა, გამჭვირვალე იქნება.

***— თქვენ იურისტი ბრძანდებით და, შესაბამისად, მშვენივრად იცით, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქის მხრიდან დაფინანსება კანონის ფარგლებში არანაირად არ ჯდება. როგორღა უნდა დაგაფინანსოთ?***

— სწორედ ამიტომ გეუბნებით, რომ ჯერჯერობით ასეთი გადაწყვეტილება არ მიგვიღია. როდესაც იქნება ასეთი გადაწყვეტილება მიღებული, თუკი იქნება საერთოდ, ამაზე კომენტარს მხოლოდ ამის შემდეგ გავაკეთებთ. ვიმეორებ, ჯერჯერობით ასეთი გადაწყვეტილება მიღებული ნამდვილად არ არის.

***— ალბათ, არც იქნება ასეთი გადაწყვეტილება მიღებული, რადგან ებრალიძე საქართველოს მოქალაქე არ არის... თუ ვცდები და ამ საკითხის განხილვას აპირებთ, ეს თუ ასეა, მაშინ გვითხარით, ამის განხილვა როდისთვის იგეგმება?***

— ვერ გეტყვით. ვიმეორებ, ეს არის საკითხი, რომელიც ჯერჯერობით არ განიხილება. თუკი განვიხილავთ ამ საკითხს ამის შემდგომ, ბუნებრივია, გვექნება პოზიცია. ეს უახლოეს მომავალში განსახილველი საკითხი არ არის. ამაზე ჯერჯერობით მხოლოდ ბატონი ებრალიძის მზადყოფნა არსებობს, როგორც კეთილი ნების ჟესტი.

***— ისედაც იყო საუბრები იმის თაობაზე, რომ „თავისუფალ საქართველოს" ებრალიძე აფინანსებდა და ებრალიძის მზადყოფნა ხომ არ არის ამის ერთგვარი დასტური?***

— საუბრები კი არა, ჭორები იყო. ამგვარი ჭორების გავრცელება კი, რა თქმა უნდა, ხელისუფლების ამოცანაა. ებრალიძემ განაცხადა, რომ მისი მხრიდან არსებობს მზადყოფნა, მაგრამ მას არ განუცხადებია, რომ გვაფინანსებს. ის ქართულ ოპოზიციას ჯერჯერობით არ აფინანსებს.

***— როგორი იქნება თქვენი პასუხი, ებრალიძეს დაფინანსებას „თავისუფალი საქართველო" მიიღებს? მზად ხართ იმისთვის, რომ ალექსანდრე ებრალიძე თქვენი დამფინანსებელი გახდეს?***

— ვიმეორებ, გადაწყვეტილება ჯერჯერობით არ მიგვიღია.

***— კონკრეტული პასუხი მაინტერესებს, დათანხმდებით თუ არა ებრალიძეს იმაზე, რომ დაგაფინანსოთ?***

— რადგან განვიხილავთ ამ საკითხს, ე.ი ამის შანსი არსებობს. მთელი რიგი საკითხები, მათ შორის, სამართლებრივი, მოსაგვარებელია ხომ? დიახ, არის იმის შანსი, რომ ებრალიძე ჩვენი დამფინანსებელი გახდეს.

— თუ ებრალიძე თქვენი დამფინანსებელი გახდება, ბუნებრივია, რუსული პოლიტიკის გატარებაც მოგიწევთ. ვინც იხდის მუსიკასაც, ხომ ის უკვეთავს. არ გიფიქრიათ იმაზე, თუ როგორი იქნება ამ შემთხვევაში საქართველოს ხელისუფლების რეაქცია, არ გეშინიათ, გამორიცხავთ, რომ დაგაპატიმრონ?

— არა, ვერ გეტყვით, რადგან თქვენ მსჯელობთ ისეთ საკითხზე, რომელიც ახლო მომავლის პერსპექტივა არ არის. რაც შეეხება იმას, გვეშინია თუ არა, რა თქმა უნდა, არ გვეშინია. სააკაშვილის შიშით რომ ვმოქმედებდეთ, მაშინ კიდევ ბევრ სხვა ნაბიჯს გადავდგამდით ან არ გადავდგამდით წლების განმავლობაში.

— თქვენი აზრით, ალექსანდრე ებრალიძემ მაინცდამაინც კუკავაზე რატომ შეაჩერა არჩევანი და თქვენი მორიგი მოსკოვურ-პეტერბურგული ვიზიტი როდისთვის იგეგმება?

— მე არ ვთვლი, რომ ებრალიძემ მაინცდამაინც ჩემზე გააკეთა არჩევანი. ამ ადამიანებს აქვთ სიმპათიები ქართული ოპოზიციის მიმართ. რაც შეეხება მორიგ ვიზიტს, ჯერჯერობით დანიშნული არ გვაქვს.

***— ბატონო კახა, დღესდღეობით „თავისუფალ საქართველოს" ვინ აფინანსებს?***

— დღესდღეობით, სამწუხაროდ, არავინ გვაფინანსებს. იმის გამო, რომ ჩვენ ლეგალური შემომწირველები არ გვყავს და არალეგალურებთან, როგორც ხედავთ, არ ვურთიერთობთ, ოფისის იჯარის ქირაც მხოლოდდამხოლოდ პარტიის წევრების შემოწირულობებით გროვდება. მგონი, „თავისუფალი საქართველო" ერთადერთი პარტიაა, რომელსაც მხოლოდ ერთი ოფისი აქვს. ჩვენ არც ხელფასიანი შტატი გვაქვს, არც რეგიონული ოფისები და სხვა დანახარჯებიც არ გაგვაჩნია.

***— თუ კუკავა არ დაძმარდება, ბრძოლის დროს ბევრი კარგი საქმის გაკეთება შეუძლია. ესეც ხომერიკის სიტყვებია — დაძმარდებით, ბატონო კახა? ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა... ისე, დებთ თუ არა იმის პირობას, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ბოლომდე იბრძოლებთ?***

— თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მივმართავ საზოგადოებას და ვპირდები მათ, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ბოლომდე ვიბრძოლებ და ამ რეჟიმს ადრე თუ გვიან პოლიტიკურ სანაგვეზე აუცილებლად გავუშვებთ.

## ბოლნისში წინააღმდეგობის კომიტეტი დაფუძნდა

სახალხო კრებამ გუშინ ბოლნისში წინააღმდეგობის კომიტეტი დააფუძნა. ყრილობას სახალხო კრების ბოლნისის ოფისში გაიმართა. შეხვედრას სახალხო კრების სათათბირო დარბაზის წევრები თემურ შაშიაშვილი და ირაკლი ბათიაშვილი ესწრებოდნენ.

ბოლნისის წინააღმდეგობის კომიტეტი 9 კაციანია. როგორც ირაკლი ბათიაშვილმა განაცხადა, წინააღმდეგობის კომიტეტის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა შემოკრიბონ თავიანთ რიგებში. სახალხო კრება, მისივე თქმით, 2 მაისს გამართავს პარტიულ ყრილობას, სადაც წინააღმდეგობის კომიტეტის გეგმებს დეტალურად გაახმაურებენ.

**ინტერპრესნიუსი**

## ებრაელი ბიზნესმენები სააკაშვილს შეწყალებას არ სთხოვენ

საქართველოში დაკავებული ებრაელი ბიზნესმენების ადვოკატ არჩილ კბილაშვილის განცხადებით, რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელი ამ ეტაპზე საქართველოს პრეზიდენტისთვის შეწყალების თხოვნით მიმართვას გამორიცხავენ.

როგორც კბილაშვილმა „მედიანიუსს" განუცხადა, პრეზიდენტისთვის შეწყალების თხოვნით მიმართვა ავტომატურად ბრალის აღიარებას და მის მონანიებას ნიშნავს, ფუქსი და ფრენკელი კი დანაშაულს არ აღიარებენ. საქმის სამართალწარმოება ჯერ დასრულებული არ არის და აპრილის შუა რიცხვებში თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

ადვოკატის თქმით, ებრაელი ბიზნესმენების ისრაელში ექტრადირების შესახებაც საუბარი ნაადრევია, რადგან მისი ინფორმაციით, საქართველოსა და ისრაელს შორის შესაბამისი ხელშეკრულება არც არსებობს.

ცნობისთვის: გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტსკონსტიტუციით მინიჭებული უფლებით მსჯავრდებულის შეწყალება შეუძლია.

**მედიანიუსი**

## კონდოლში 21 წლის ბიჭმა თავი მოიკლა

თელავის რაიონის სოფელ კონდოლში 21 წლის ბიჭმა თავი ჩამოიხრჩო, — აცნობეს „მედიანიუსს" კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან.

თვითმკვლელობის მიზეზად ოჯახური კონფლიქტი სახელდება. თვითმკვლელობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიებას შს თელავის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

**მედიანიუსი**

## სააკაშვილი რუსეთს ტერაქტების ერთობლივად გამოძიებას სთავაზობს



საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი რუსეთის ხელისუფლებას სთავაზობს, ცოტა ხნის წინ ქუთაისში ქართველი სამართალდამცველების მიერ აღკვეთილი ტერაქტის მცდელობა რუსეთისა და საქართველოს შესაბამისმა სტრუქტურებმა ერთობლივად გამოიძიონ.

როგორც გუშინ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე პრეზიდენტის პრეს-სპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, აღნიშნული ტერაქტის მცდელობის კვალი, ისევე როგორც ბოლო დროს საქართველოში განხორციელებული თუ აღკვეთილი ტერაქტები რუსეთის მიერ კონტროლირებად აფხაზეთის ტერიტორიამდე მიდის. ამიტომ ისევე როგორც ადრე, საქართველოს ხელისუფლება ტერაქტების გამოძიების საქმეში კრემლს თანამშრომლობას სთავაზობს.

— რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს ასეთი წინადადებით ქართულმა მხარემ ცოტა ხნით ადრე ჟენევაში უკვე მიმართა და ამას მათი მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. საქართველოს პრეზიდენტი რუსეთს კვლავ სთავაზობს თანამშრომლობას ტერაქტების გამოძიების საკითხში, — განაცხადა მანანა მანჯგალაძემ და მიხეილ სააკაშვილის სახელით ქართველ სამართალდამცველებს ქუთაისში დაგეგმილი ტერაქტის აღკვეთისათვის მადლობა კიდევ ერთხელ გადაუხადა.

**მედიანიუსი**

## დემოკრატიული მოძრაობა აქციის მონაწილეების დაპატიმრებას გმობს

„დემოკრატიული მოძრაობა„ უზენაეს სასამართლოსთან, „წინააღმდეგობის მოძრაობის" მიერ ორგანიზებული აქციის მონაწილეების დაპატიმრების ფაქტს გმობს.

— სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმი აქტიურად განაგრძობს უკანონო რეპრესიებს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ, რითაც სურს ხელისუფლებაში ყოფნა გაიხანგრძლივოს, — აღნიშნულია პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც მოძრაობაში აცხადებენ, მიხეილ სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას ყველა უკანონობისთვის ხალხი განაჩენს სულ მალე გამოუტანს.

უზენაეს სასამართლოსთან 4 აპრილს „წინააღმდეგობის მოძრაობის" ორგანიზებით აქცია „მე(ც) პატიმარი ვარ!" გაიმართა. აქცია პოლიციასთან დაპირისპირებაში მას შემდეგ გადაიზარდა, რაც აქციის მონაწილეებმა უზენაესი სასამართლოს შენობას კვერცხები დაუშინეს. ინციდენტის დროს აქციის 10 მონაწილე დააკავეს.

**ინტერპრესნიუსი**

# საარჩევნო გარემო მოსახლეობის დახმარებით უნდა გაუმჯობესდეს

## ოპოზიციური რვიანი მხარდაჭერას ითხოვს

ნათია ხურცილავა

**ოპოზიციური „რვიანი" ახალი შეთავაზებებით გამოდის. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით დაწყებული მოლაპარაკების პროცესის ჩიხში შესვლის შემდეგ „რვიანი" მზად არის, ორი პრინციპული საკითხით განაახლოს მოლაპარაკების პროცესი. „რვიანი" ხელისუფლებას საარჩევნო სისტემის გერმანულ მოდელს სთავაზობს.**

„ერთი ამომრჩეველი — ერთი ხმა". ასევე, საარჩევნო სუბიექტების მიერ მთელ საქართველოში მიღებული ხმებისა და პარლამენტში მიღებული მანდატების პროპორციულობის საკითხის მოთხოვნა.

თავისუფალი დემოკრატების ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე „რვიანმა" თავისი შეთავაზებები გაახმოვანა და ხელისუფლებას საპასუხოდ გარკვეული დროც მისცა. „რვიანი" აცხადებს, რომ არგუმენტების გარეშე დარჩენილი ნაციონალური მოძრაობა ცდილობს, მძიმე ვითარებიდან თავის დასაღწევად ჩაშალოს მოლაპარაკებები. „რვიანი" მზად არის მოლაპარაკების საკითხები ორ ჯგუფად დაყოს და პირველ ეტაპზე ორი საკითხი განიხილოს.

ამომრჩეველთა სიების ფორმირება და საარჩევნო სისტემა. აღნიშნულ საკითხებზე შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში გაგრძელდეს დანარჩენ საკითხებზე შეთანხმება.

„რვიანის" შესათანხმებელი ორი საკითხი ასეთი შინაარსისაა:

ამომრჩეველთა ერთიანი სია შედგეს და პირადობის მოწმობები გაიცეს მოქალაქეთა ბიომეტრიული მონაცემების საფუძველზე.

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის სრულფასოვან წარმომადგენლობას პარლამენტში, დამატებით წარმოვადგენთ საარჩევნო სისტემის ორ მოდელს: პარლამენტის ნახევარი აირჩევა ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქებში პარტიების მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან 50 პროცენტიანი ბარიერით. პარლამენტის მეორე ნახევარი აირჩევა პროპორციული სისტემით და ერთიანი პარტიული სიებით. ამასთანავე, პარლამენტში პოლიტიკური პარტიების (ბლოკების) მიერ მიღებული მანდატების რაოდენობა განისაზღვრება მათთვის პროპორციულ არჩევნებში მიცემული ხმების მიხედვით. შესაბამისად, მაჟორიტარულ არჩევნებში გამარჯვებული ყველა კანდიდატი მიიღებს მანდატს, ხოლო პარტიას პროპორციული არჩევნებიდან მიეკუთვნება მხოლოდ იმდენი მანდატი, რამდენიც საჭიროა განსაზღვრული რაოდენობის უზრუნველსაყოფად. პარტია (ბლოკი) განსაზღვრულ რაოდენობაზე მეტ მანდატს მიიღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ რაოდენობას გადააჭარბებს პარტიის მიერ მაჟორიტარული წესით მოპოვებულ მანდატთა საერთო რაოდენობა.

პარლამენტის 2/3 აირჩევა პროპორციული სისტემით, ერთიანი პარტიული სიებით, ხოლო 1/3 ერთმანდატიან მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებში 50 პროცენტიანი ბარიერით. — ასეთია ის შეთავაზებები, რომელიც გუშინ გაახმოვანა „რვიანმა".

ოპოზიციური „რივანი" მზად არის მოლაპარაკების განახლებამდე აღნიშნულ წინადადებებზე ინდივიდუალური კონსულტაციები გამართონ ხელისუფლების ნებისმიერ წარმომადგენელთან.

**ვახტანგ ხმალაძე, „რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენელი:**

— დღეს, მაჟორიტარულ ოლ-



ქებში არჩეულად ითვლება ის, ვინც მიიღებს ყველაზე მეტ ხმას და თუ ეს რაოდენობა 30 პროცენტზე მეტია. საკმარისია ერთმა კანდიდატმა 30 პროცენტზე მეტი მიიღოს და სხვებმა უფრო ნაკლები, ის უკვე არჩეულად ითვლება. დაახლოებით ამომრჩევლის 70 პროცენტის მოსაზრება შეიძლება საერთოდ არ იყოს გათვალისწინებული. ჩვენ ვამბობთ, რომ ერთმანდატიან მაჟორიტარულ ოლქში გამარჯვებულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის, ვინც მიიღებს არჩევნების მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტს, რაც უზრუნველყოფს ამომრჩეველთა უმრავლესობის წარმომადგენლობას. მეორე, თუ პარტიამ პროპორციულ არჩენებში მიიღო ხმების იმდენი პროცენტი, რომლის შესაბამისად პარლამენტის მთელი რაოდენობიდან მას ეკუთვნის, მაგალითად, 60 მანდატი, მაჟორიტარულ არჩევნებში უკვე მიიღო 60-ზე მეტი მანდატი, მაშინ პროპორციული სიიდან მანდატი აღარ მიემატება, მაგრამ თუ მაჟორიტარულ არჩევნებში მიიღო 60-ზე ნაკლები, მაშინ დაემატება მანდატები იმისთვის, რომ 60-ამდე შეივსოს. ასეთი სისტემა გამოიყენება გერმანიაში. ამ სისტემის დანიშნულება არის ის, რომ ხელოვნური ხერხებით სისტემის მეშვეობით, რომელიმე საარჩევნო სუბიექტს არ ერგოს უფრო მეტი მანდატი, ვიდრე მას ეკუთვნის ამომრჩეველთა მხარდაჭერის მიხედვით. 2008 წლამდე დაახლოებით ასეთი თანაფარდობა იყო.

**მამუკა კაციტაძე, „ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელი:**

— მეორე ვარიანტი არის გამეორება არა მხოლოდ 2008 წლამდე რაც იყო, არამედ ის შეთანხმებაა გამეორებული, რომელზეც 2007 წლის ნოემბრიდან 2008 წლის გაზაფხულამდე ხელისუფლება დათანხმდა, მე უშუალოდ ვიყავი ამ მოლაპარაკებების მონაწილე. ეს პრინციპი იმიტომ არის შეთავაზებული, რომ მაჟორიტარულსა და პროპორციულს შორის არათანაბარი შესაბამისობა უზრუნველყოფს იმას, რომ პარტიამ იმდენივე მანდატი მიიღოს, რა მხარდაჭერაც ჰქონდა მას საზოგადოებისგან არჩევნებზე. პრინციპი არის ასეთი: რამდენი ხმაც მივიღე, იმდენი მანდატი მივიღო. ჩვენი პირველი ვარიანტი ორივე პრინციპს ითვალისწინებს. ხელისუფლებას ვთავაზობთ: გინდათ 75 ერთ მანდატიანი მაჟორიტარული ოლქი არა თანაბარი ოლქების გათვალისწინებით და იქ არჩეული მაჟორიტარები, კი ბატონო, ავირჩიოთ, მაგრამ რამდენი ხმაც მიიღე, იმდენი მანდატი მიიღო. გვაინტერესებს, რით გვიპასუხებს ხელისუფლება, რომელმაც ორ-სამ დღეში რაიონები მოიარა, თითქოს ოპოზიციური „რვიანი" წინააღმდეგი ვიყავით რეგიონებისა და რაიონების წარმოდგენისა პარლამენტში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ჩვენს პირველ ვარიანტში სოლიდურ წარმომადგენლობას ვუჭერდით მხარს პარლამენტში რეგიონების მხრიდან, რადგან ხელისუფლებამ მავნე პიარი, თითქოსდა მისთვის მომგებიანი პიარი განავითარა, გადავდგით შემხვედრი ნაბიჯები, რადგან მოლაპარაკება სწორედ ამას გულისხმობს, რომ ერთმანეთისკენ უნდა ვიაროთ და არა ერთმანეთის საპირისპიროდ. ახლა ვნახავთ, როგორი იქნება ხელისუფლების შემხვედრი ნაბიჯი. უზრუნველყოფილია 75 ოლქიდან ერთმანდატიანი მაჟორიტარულის არჩევა, რაც ხელისუფლებას უნდოდა და მეორე მხრივ, უზრუნველყოფილია ის, რომ რამდენმაც დამიჭირა მხარი, იმდენი მანდატი მივიღო. რადგან ეს გახდა ხელისუფლებისთვის საჯილდაო ქვა, რადგან ამ საბაბით ხელისუფლებას უნდა, რომ პროცესი ჩიხში შეიყვანოს ან ჩაშალოს, მივდივართ შემხვედრი მიმართულებით. განსაკუთრებული გავლენის მატარებელი ამ პროცესში ორი საკითხია: პირველი, ამომრჩეველთა სიის ფორმირება და საარჩევნო სისტემა. მერე დანარჩენი საკითხები. ჩვენ გვინდა აღდგეს მოლაპარაკების ის ფორმატი, რაც არსებობდა, მაგრამ თუ უფრო ნაყოფიერი იქნება ე.წ. ინდივიდუალური ურთიერთობები, ოპოზიციური „რვიანი" ნებისმიერ პოლიტიკურ ინდივიდთან მზად არის ნებისმიერ დროს ისაუბროს ამ საკითხებზე, გნებავთ ერთ საათში, გნებავთ სხვა, როდესაც მზად იქნება ხელისუფლება.

**ირაკლი ჩიქოვანი, „თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელი:**

— ყველა საკითხი, რომელიც ჩვენ მიერ იქნა სამუშაო ჯგუფში წარდგენილი, კვლავ დღის წესრიგში რჩება. ეს საკითხები იმით არის განპირობებული, რომ მხოლოდ ამ თემებზე გვქონდა ხელისუფლებასთან საუბარი. მათ მხოლოდ ამ თემებზე წარმოადგინეს საკუთარი ხედვა და მხოლოდ ამ თემაზე ააწყვეს ის ნეგატიური პიარი, რომ თითქოს ოპოზიციური „რვიანი" რაიონების წარმომადგენლობის წარმოდგენას პარლამენტში ხელს უშლიდა.

— საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ პროცესისადმი საზოგადოების მხარდაჭერას აქვს. ამ მიზნით ჩვენ ვიწყებთ მოსახლეობასთან შეხვედრებს თბილისსა და საქართველოს რეგიონებში, — ნათქვამია „რვიანის" განცხადებაში.

ოპოზიციური „რვიანის" მოთხოვნა, საქართველოს მასშტაბით საარჩევნო სიების ბიომეტრიული მონაცემებით დადგენა, კვლავ ძალაში რჩება.

# რა აინტერესებს მოსახლეობას — გართობა თუ პოლიტიკური თოქ-შოუ?

ნანა მიშელაშვილი

**ქრისტიან-დემოკრატები კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის მიერ ჩატარებულ კვლევას უნდობლობას უცხადებენ და კომისიას ახალი კვლევის ჩატარებას სთხოვენ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარებულ კვლევებთან დაკავშირებით განცხადება გუშინ ოპოზიციონერმა ვიცე-სპიკერმა გააკეთა.**

ლევან ვეფხვაძის განცხადებით, 2006 წლამდე მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა და არ გაიცემოდა არანაირი ლიცენზია, რაც დემოკრატიის პრობლემა იყო. მისი თქმით, ბოლოს, ოპოზიციის კრიტიკისა და საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგად, კომუნიკაციების მარეგულირებელმა კომისიამ კვლევა ჩაატარა, თუმცა ხარვეზებით.

ლევან ვეფხვაძემ აღნიშა, რომ გამოკითხულია 10 ათასი ადამიანი, თუმცა ნებისმიერი სოციოლოგი დაადასტურებს, რომ ამ ოდენობის ადამიანის გამოკითხვა საჭირო არ არის და 2-3 ათასი პირის გამოკითხვაც საკმარისია. ეს გარემოება ვეფხვაძეს სერიოზულ ეჭვებს უჩენს და მიაჩნია, რომ „ფული კეთდება".

ვიცე-სპიკერს არ ესმის, რატომ აქვს მოსახლეობის უმეტესობას გასართობი პროგრამების დეფიციტი მაშინ, როდესაც ქართული ტელეკომპანიების ძირითადი ბადე, სწორედ ასეთი ტიპის გადაცემებს ეთმობა.

ოპოზიციონერი ვიცე-სპიკერი ვარაუდობს, რომ ამ კვლევების საფუძველზე მომავალში აღარ გაიცემა არც ახალი სიხშირეები და შესაძლოა არსებულ ტელეკომპანიებსაც ლიცენზიის მოდიფიცირება მოსთხოვონ, რის შესაძლებლობასაც კომისიას კანონმდებლობა აძლევს. — თუკი პრიორიტეტებად მართლაც ამ კვლევის შედეგები გამოცხადდება, მივიღებთ სიტუაციას, როდესაც ზალიკო უდუმაშვილსა და დიანა ჯოჯუას ფონოგრამის დადება და საკუთარი ვოკალური შესაძლებლობებით მოუწევთ გადაცემის წაყვანა, ან დავით აქუბარდიას საბავშვო ბაღიდან მოუწევს ბავშვების მოყვანა, ან ლევან ჯავახიშვილს, რომლის ვოკალური შესაძლებლობებიც ცნობილია, ამღერება მოუწევს, — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ და დასძინა, რომ სიტუაცია კომიკურ შედეგამდე მივა.

ვეფხვაძე ახალი კვლევების ჩატარებას ითხოვს, რომლის დროსაც ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პრიორიტეტი იქნება გათვალისწინებული. ასევე გათვალისწინებული იქნება, რომ ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის მნიშვნელოვანია პოლიტიკური თოქშოუები, რადგან პოლიტიკური პარტიებისთვის ეს არის შესაძლებლობა საზოგადოებას საკუთარი ხედვები გააცნონ.

ლევან ვეფხვაძის ამ განცხადების შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ იხუმრა: „თქვენი ვოკალური მონაცემების პატრონს კარგ დროს გაგისწრიათ ტელევიზიიდან".

ვიცე-სპიკერს უმრავლესობის წევრმა აკაკი მინაშვილმა გასცა პასუხი. მინაშვილის თქმით, თავდაპირველად ყიჟინა იმაზე იყო ატეხილი, რომ მედიაზე კვლევა ჩატარებულიყო, ახლა კვლევა ჩატარდა და ზოგიერთი ამ კვლევის შედეგების გაუქმებას მოითხოვს, რაც შეუძლებელია.

აკაკი მინაშვილმა ლევან ვეფხვაძეს მოუწოდა, საკუთარი შეხედულებიდან გამომდინარე კი არ ისაუბროს, არამედ მოსახლეობის მოსაზრებიდან გამოვიდეს.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც გუშინ ოპოზიცია აქტიურობდა და უმრავლესობას მიმართავდა, ჯანდაცვის საკითხებს შეეხება. კერძოდ, სეფსისის ცენტრს და ბავშვთა პირველ კლინიკურ საავადმყოფოს. ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების" წევრმა მაგდა ანიკაშვილმა განცხადება გააკეთა ჰოსპიტალურ სექტორთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს თემა აქტუალურია და მოვლენები დინამიურად ვითარდება. — რეფორმას უკვე შეეწირა რამდენიმე ასეული სამუშაო ადგილი, კვალიფიციური ადამიანები სამსახურების გარეშე რჩებიან, მაგრამ კიდევ უფრო დიდი საფრთხე ამ რეფორმის ის არის, რომ რამდენიმე წელიწადში აღარ იქნებიან კვალიფიციური ექიმები და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურება, თუ ასეთი ტემპებით გაგრძელდა ათწლეულის მანძილზე შემუშავებული და შეთანხმებული გუნდების, პროფესიონალი კოლექტივების დაშლა. საუბარია სეფსისის ცენტრზე, — აღნიშნა მაგდა ანიკაშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატის თქმით, ორი წელია ამაზე საუბარი მიდის და ამ პერიოდის განმავლობაში ჯანდაცვის სამინისტროსგან ჩამოყალიბებული ხედვა არ მოუსმენია. ანიკაშვილი განმარტავს, რომ დიდი საფრთხეა, ეს უნიკალური დაწესებულება, რომლის მსგავსი ცენტრი ახლა იქმნება ბრიტანეთში, ესპანეთში, შეიძლება ახლო მომავალში ხელმისაწვდომი აღარ იყოს ჩვენი მოსახლეობისთვის.



მაგდა ანიკაშვილი დარწმუნებულია, რომ ეს კოლექტივი, პროფესიონალთა დიდი ნაწილი სამსახურის გარეშე არ დარჩება, რადგან კვალიფიციურები არიან, მაგრამ მათი ცალკე დაწესებულებაში კონსულტანტად მუშაობა ვერ უზრუნველყოფს ისეთ მომსახურებას, როგორც სეფსისის ცენტრი. ასეთი უნიკალური გამოცდილება არსებობს მხოლოდ საქართველოში და ამას იზიარებენ სხვებიც. — აუცილებელია მათ შევთავაზოთ ალტერნატივა, რათა მათ შეძლონ მაქსიმალურად საჭირო მომსახურება გაუწიონ პაციენტებს, მინიმალური რაოდენობა საწოლებისა — 40-50 საწოლი და მივანიჭოთ ავტონომიური სამედიცინო ცენტრის სტატუსი, როგორითაც დღეს ფუნქციონირებს. ამ პირობების დაკმაყოფლებით იქნება შესაძლებელი, რომ სტანდარტი დაცული იყოს, — აღნიშნა ანიკაშვილმა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც მაგდა ანიკაშვილმა დასვა, უკავშირდება ბავშვთა პირველ კლინიკურ საავადმყოფოს. ანიკაშვილის თქმით, ეს საავადმყოფო 75 წლის წინ დაარსდა ძმები ზუბალაშვილების მიერ. — ეს ადამიანები ელოდნენ, რომ მათ მოექცეოდნენ პატივისცემით, როგორადაც იმსახურებდნენ და შესთავაზებდნენ ნორმალურ ალტერნატივას. იმედი ჰქონდათ, რომ რემონტის შემდეგ დაბრუნდებოდნენ შენობაში. თუმცა, პირდაპირ მივიდა შესაბამისი სამსახური და დაიწყო შენობის რემონტი ისე, რომ იქ არიან პაციენტები. არავის მისცეს ახსნა-განმარტებები. საუბარია, რომ ეს ადამიანები უნდა წავიდნენ სახლში. გაუგებარია, როგორ გადაწყდება შრომის ანაზღაურების საკითხი და ა.შ. მე მგონი, აქ არის კომუნიკაციის პრობლემა. სამწუხაროდ, არც დედაქალაქის მთავრობამ და არც ჯანდაცვის სამინისტრომ არ ჩათვალა საჭიროდ დალაპარაკებოდნენ ექიმებს, რომლებიც წლებია ემსახურებიან ჩვენ ბავშვებს. ეს არის ერთ-ერთი კვალიფიციური და პატივსაცემი კოლექტივი, — აღნიშნა ანიკაშვილმა.

იმ დროს, როდესაც ოპოზიციონერმა დეპუტატმა ეს განცხადება გააკეთა, პარლამენტის სხდომათა დარბაზში უმრავლესობის წევრები იმყოფებოდნენ. მით უფრო, რომ მაგდა ანიკაშვილის მიმართვის ადრესატი მმართველი ფრაქციის ის წევრები იყვნენ, რომლებიც ჯანდაცვის საკითხებზე განცხადებებს ხშირად აკეთებენ. ამის მიუხედავად, მაგდა ანიკაშვილს უმრავლესობის არც ერთი წევრი არ გამოხმაურებია.

მაგთი
MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

## შიდსით კიდევ ერთი ადამიანი დაიღუპა

თბილისში აივ ინფექციით შუახნის მამაკაცი გარდაიცვალა. დაღუპვის მიზეზი დაგვიანებული მკურნალობა გახდა.

შიდსის ინფექციის მატარებელმა მამაკაცმა ექიმს დაავადების ბოლო სტადიაზე მიმართა, რის გამოც პაციენტის გადარჩენა ვეღარ შეძლეს. სპეციალისტთა თქმით, ყველაზე ხშირად სწორედ დაგვიანებული დიაგნოსტიკა ხდება ლეტალური შედეგის მიზეზი.

წელს უკვე ამ დაავადებით 106 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაცვლილია 32 ადამიანი. აივ მკურნალობაზეა 887 პაციენტი, მათგან 33 ბავშვია.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში აივ ინფექციით დაინფიცირებულთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის თანახმად, 2000 წელს საქართველოში შიდსი 79 ადამიანს დაუდგინდა, 2003 წელს მისმა რიცხვმა 100-ს მიაღწია, 2004 წელს 163-ს, 2005 წელს — 242-ს; 2006 წელს 276 შემთხვევა დაფიქსირდა, 2007-ში — 344, 2008 წელს — 351, 2009 წელს — 385, 2010 წელს — 455. სპეციალისტთა თქმით, ყოველწლიურად სტატისტიკური მაჩვენებლების ზრდა, გარდა დაინფიცირების შემთხვევების მატებისა, გამოწვეული იმით, რომ საინფორმაციო კამპანიის შედეგად, გამოკვლევების ჩასატარებლად სულ უფრო მეტი ადამიანი მიმართავს შესაბამის ცენტრებს.

სულ საქართველოში შიდსის ვირუსით ინფიცირების 2797 შემთხვევაა დაფიქსირებული, აქედან 2059 - მამაკაცია, 738 - ქალი, პაციენტთა უმრავლესობა 29-დან 40 წლამდეა. ამ დრომდე აივ ინფექციით საქართველოში 607 ადამიანი გარდაიცვალა.

**მედიანიუსი**

## არამიანცის კომპლექსში შემავალი კიდევ ერთი კლინიკა გაიყიდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ე.წ.არამიანცის საავადმყოფოების კომპლექსში შემავალი კიდევ ერთი ობიექტი გაყიდა. ეს არის შპს „თბილისის ენდოკრინოლოგიური ცენტრის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100-პროცენტიანი წილი. იგი ელექტრონულ აუქციონზე 210 000 ლარად გაიყიდა. მისი მფლობელი ფიზიკური პირი მანანა გაბისონია გახდა. კლინიკა თბილისში, წინანდლის ქუჩა №9-ში მდებარეობს. მისი საწყისი გასაყიდი ფასი 190 000 ლარი იყო.

ეკონომიკის სამინისტრომ მიმდინარე წელს ე.წ.არამიანცის კომპლექსში შემავალი სულ 14 ობიექტი გაყიდა.

**მედიანიუსი**

## მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილება შედის

ტელევიზიებში რეკლამების შეზღუდვის შემცირების გადაწყვეტილება პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო. ლაპარაკია მაუწყებლობის შესახებ კანონში შესატან ცვლილებაზე, რომლის თანახმადაც, მაუწყებლებს საშუალება მიეცემათ, ე.წ. სარეკლამო ჭრა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, წინასაარჩევნო პროგრამებსა და დოკუმენტურ ფილმებში მოახდინონ, რომელთა ხანგრძლივობაც 15 წუთია.

კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, მაუწყებლებს ამის საშუალება 30-წუთიანი პროგრამებისა და დოკუმენტური ფილმების შემთხვევაში ჰქონდათ. კანონპროექტის მიხედვით, პროგრამა, რომლის ხანგრძლივობა 30 წუთზე მეტია, შესაძლებელია, შეწყდეს რეკლამით ან ტელეშოპინგით არაუმეტეს 3-ჯერ. დღეს მოქმედი კანონმდებლობით კი მსგავსი შეწყვეტა მხოლოდ მაშინ არის დაშვებული, თუკი პროგრამის ხანგრძლივობა 45 წუთზე მეტია.

წარმოდგენილი ცვლილებებითვე, ტელე- ან რადიოარხზე რეკლამისა და ტელეშოპინგის მოცულობა მაუწყებლის საერთო ხანგრძლივობის 20 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს. დღეს მოქმედი კანონით კი შესაბამის მაჩვენებლად 15 პროცენტია განსაზღვრული. კანონპროექტი სხვა ცვლილებებსაც ითვალისწინებს.

**მედიანიუსი**

# აფხაზი მღვდლები აჯანყდნენ

## რატომ გამოუცხადეს ბესარიონ აპლიას უნდობლობა

**თეა მარხვაი ე**

აფხაზეთში საქმე იმაზე სერიოზულად არის, ვიდრე ეს ვინმეს წარმოუდგენია. რუსეთის „მზრუნველი" პოლიტიკა აქაურებს უკვე ყელში ამოუვიდათ. მოსკოვის ზრახვებს, პოლიტიკოსების გარდა, უკვე სასულიერო პირებიც აპროტესტებენ.

4 აპრილს გავრცელდა ინფორმაცია, რომ სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქმა კირილმა აფხაზეთში, ახალი ათონის წმინდა სვიმეონ კანანელის სახელობის ტაძრის წინამძღვრად იღუმენი ეფრემი (ვინოგრადოვი) დანიშნა.

ამ ფაქტს აფხაზეთში სერიოზული უკმაყოფილება მოჰყვა. პროტესტი ამჯერად სასულიერო პირებმა გამოთქვეს. მათ რუსეთის პატრიარქის მიღებული გადაწყვეტილების გამო უნდობლობა აფხაზური ეკლესიის წინამძღოლს ბესარიონ აპლიას გამოუცხადეს.

აფხაზური საინფორმაციო სააგენტო „აპსნი პრესის" ცნობით, შეკრება 4 აპრილს ახალი ათონის მონასტერში შედგა. ღონისძიებას რამდენიმე ასეული ადამიანი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ როგორც სასულიერო პირები, ასევე მორწმუნეები.

„აპსნი პრესის" ცნობით, ახალი ათონის წმინდა სიმონ კანანელის მონასტერში გამართული შეკრების მიზეზი, ახალი ათონის სვიმეონ კანანელის მონასტერში ახალი წინამძღვრის, იღუმენ ეფრემის დანიშვნა გახდა, რომელიც რუსეთის პატრიარქმა კირილმა ბესარიონ აპლიას მოთხოვნით მიავლინა.

ეფრემთან ერთად მონასტერში რუსეთიდან რამდენიმე ბერი და მღვდელმსახური ჩავიდა. მათ მიზნად ახალი ათონის მონასტერში რუსული სამონასტრო ცხოვრების ტრადიციების აღორძინება სახელდება.

— ჩვენ აღშფოთებულები ვართ იმით, რომ მამა ბესარიონი ერთპიროვნულად და ქრისტიანული მრევლისგან მალულად წყვეტს იმ ტაძრებისა და მონასტრების ბედს, რომლებიც ჩვენი ხალხის მარადიულ სიწმინდეებად ითვლება. ამასთან დაკავშირებით ჩვენ საბოლოოდ დავკარგეთ ნდობა ბესარიონ აპლიას მიმართ და შეწუხებულები ვართ არა მარტო ახალი ათონის ტაძრების, არამედ მთლიანად მართლმადიდებლური ეკლესიის ბედით, — განაცხადა შეკრებაზე მამა ანდრეი ამპარმა.

შეკრების მონაწილეებმა განაცხადეს, რომ აუცილებელია გაიმართოს საეკლესიო-სახალხო შეკრება, რომლის მიზანიც აფხაზური ეკლესიის პრობლემების განხილვა და გადაჭრა იქნება.

კრების თარიღად 15 მაისი დასახელდა. იგეგმება, რომ შეკრებაზე აფხაზური ეკლესიის ყველა სტრუქტურის, დე-ფაქტო ხელისუფლების ყველა შტოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები მიიწვიონ.

ბესარიონ აპლია ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს. უარი მან დიდმარხვით ახსნა და განაცხადა, რომ მსგავს შეკრებებზე ეკლესიასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა არამართლზომიერია.

საქართველოს საპატრიარქო არ ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ რუსეთის პატრიარქმა



კირილმა სვიმეონ კანანელის სახელობის მონასტრის წინამძღოლად იღუმენი ეფრემი დანიშნა.

ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ საქართველოს საპატრიარქო დაუკავშირდა რუსეთის საპატრიარქოს და განმარტებები ითხოვა.

რუსეთის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების თავმჯდომარემ მიტროპოლიტმა ილარიონმა ილია II-სთან საუბარში ეს ფაქტი უარყო. მიტროპოლიტ ილარიონის მტკიცებით, გავრცელებული ინფორმაცია სინამდვილეს არ შეეფერება. რუსული საინფორმაციო საშუალებები კი ამტკიცებენ, რომ იღუმენი ეფრემი მართლაც იქნა მივლენილი აფხაზეთში, ოღონდ არა როგორც წინამძღოლი, არამედ როგორც ტაძრის წინამძღოლის თანაშემწე.

სვიმეონ კანანელის სახელობის ტაძარში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად 15 მაისს დიდი შეკრება გაიმართება. ვნახოთ, რა განაჩენს გამოუტანენ აპლიას აფხაზი სასულიერო პირები. საინტერესოა, იქნებიან თუ არა ისინი ისევე ერთსულოვანნი, როგორც ეს 2009 წლის 15 სექტემბერს მოხდა. მაშინ აფხაზმა სასულიერო პირებმა აპლიას ინიციატივას დაუჭირეს მხარი. აპლია აფხაზური ეკლესიის დამოუკიდებლობას ითხოვდა.

იმავე დღეს აფხაზეთის ეკლესიის ხელმძღვანელმა ბესარიონ აპლიამ რუსეთის საპატრიარქოს საგანგებო თხოვნით მიმართა. აპლია რუსულ ეკლესიას სთხოვდა, დამოუკიდებლობის აღიარებაში დაგვეხმარეთო. რუსულმა ეკლესიამ აპლიას უარი შემოუთვალა. რუსული ეკლესია ქვეყნის ხელისუფლებისაგან განსხვავებით, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ჯერ კიდევ აღიარებს.

ორი წლის წინ, რუსეთის საპატრიარქომ ბესარიონ აპლიას თხოვნაზე სტატუსის აღიარების შესახებ ოფიციალური უარი განაცხადეს. გამონაკლისი იყო მხოლოდ ერთი რუსი სასულიერო პირი, რომელმაც განაცხადა, რომ აფხაზეთის ეკლესია დროებით რუსეთის შემადგენლობაში უნდა შევიდეს. მისი თქმით, ეს იმ დრომდე უნდა გაგრძელდეს, ვიდრე საქართველო და რუსეთი ერთმანეთთან საბოლოოდ არ მოაგვარებდნენ ურთიერთობას.

რუსულმა ეკლესიამ არც ეს ინიციატივა გაიზიარა. და ორი თვის განმავლობაში ბესარიონ აპლია ამაოდ ელოდა, როდის მიანიჭებდა რუსეთი მას დამოუკიდებელ სტატუსს. უარის მიღებიდან ორი თვის შემდეგ აპლიამ მოსკოვში კიდევ ერთი წერილი გააგზავნა.

2009 წლის ნოემბერში საგანგებო მიმართვა საქართველოს საპატრიარქოშიც გამოაგზავნა. სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიის ხელმძღვანელმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდს წერილი გაუგზავნა, რომლითაც აფხაზეთის კანონიკური ეკლესიის აღდგენის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

საქართველოს საპატრიარქოში გამოგზავნილ წერილში ნათქვამია, რომ მიმდინარე წლის 15 სექტემბერს ე.წ. სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიალურ რიგგარეშე კრებაზე ე.წ. აფხაზეთის კანონიკური ეკლესიის - ბიჭვინთის საკათოლიკოსოს აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს. აპლია წერილში იმასაც წერს, რომ ახლად აღდგენილ ეპარქიას „ბიჭვინთისა და სოხუმის" უწოდეს.

თავის წერილში აპლია ამტკიცებს, კრებამ გადაწყვიტა, აღნიშნულის შესახებ პირველად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდისთვის ეცნობებინა.

აფხაზური ეკლესიის წინამძღოლის ვარაუდით, 15 სექტემბრის გადაწყვეტილება ქართული ეკლესიისთვის სასიხარულო უნდა ყოფილიყო.

— არაფერი უფრო გასახარი მცხეთის საკათალიკოსოსთვის არ უნდა იყოს, ვიდრე ის, რომ მან და — ეკლესია - აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია ბიჭვინთის საკათოლიკოსო შეიძინა, — ნათქვამია წერილში.

თბილისში გამოგზავნილ წერილში ბესარიონ აპლია იმასაც წერდა, რომ აფხაზეთში ეკლესიის მოქმედება მთლიანად შეჩერებულია. აპლიას მტკიცებით, ასეთი მდგომარეობა საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ შეიქმნა.

ბესარიონ აპლიას ამ ინიციატივას აფხაზეთში მაშინ დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. მართალია აფხაზებს ყოველივე დამოუკიდებელი მოსწონთ, მაგრამ აპლიას გაყღერებული დიდად არ ხიბლავთ.

რუსული მედიის ვარაუდით, ამ განცხადების გაკეთება ბესარიონ აპლიას საკუთარი ავტორიტეტის ასამაღლებლად დასჭირდა. რუსულ პრესაში იმის შესახებაც წერდნენ, რომ აპლიას ხელში აფხაზეთში საეკლესიო ცხოვრება თითქმის ჩამკვდარია.

## სამწევრისში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია დასრულდა

სამწევრისში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია დასრულდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ქარელის მუნიციპალიტეტიდან აცნობეს, პროექტის ფარგლებში მოეწყო წყალსადენი რეზერვუარი, შეიცვალა ამორტიზებული შიდა ქსელი. ცენტრალური წყალსადენიდან რეზერვუარამდე დამონტაჟდა 180 მეტრის 50 მილიმეტრიანი მილები და სასმელი წყალი სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას მიეწოდება.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2011 წელს განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში დაფინანსდა. სამწევრისის სასმელი წყლის სისტემა მოძველებული და ამორტიზებული იყო, რის გამოც სოფლის დიდი ნაწილი წყალს ვერ იღებდა.

— სასმელი წყლის სისტემების მოწესრიგება სოფლებში ჩვენი ერთ-ერთი პრიორიტეტია. სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გასულ წლებში მსგავსი პროექტები მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელში განხორციელდა. წყლის სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა ასევე ქარელსა და დაბა აგარაში. მსგავსი პროექტები სამომავლოდაც გაგრძელდება, — აცხადებს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებელი ილია ბურჯანაძე.

**ინტერპრესნიუსი**

## თინათინ ხიდაშელი: ჩვენ რუსეთს იქ უნდა ვუჩივლოთ, სადაც შედეგი გვექნება



თბილისის საკრებულოს დეპუტატი და რესპუბლიკური პარტიის ერთ ერთი ლიდერი თინათინ ხიდაშელი ჰააგაში იმყოფება. თბილისის საკრებულოს წევრი ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით დამატებით მტკიცებულებებს წარადგენს.

როგორც ხიდაშელმა გუშინ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჰააგაში გამგზავრებამდე ჟურნალისტებს განუცხადა, რესპუბლიკურმა პარტიამ ჰააგის სისხლის სამართლის სასამართლოში ორი წლის წინ შეიტანა რუსეთის წინააღმდეგ სარჩელები, რომლებიც ქართველი მოსახლეობის ეთნიკურ წმენდას და იძულებით დევნას, ასევე განზრახ მკვლელობებს და ტყვეების წამებას უკავშირდება.

— ჩვენ რუსეთს იქ უნდა ვუჩივლოთ, სადაც შედეგი გვექნება,— აეროპორტში განაცხადა თინათინ ხიდაშელმა.

**მედიანიუსი**

## 16 ექიმს სერტიფიკატი შეუჩერდა

ექიმთა პროფესიული განვითარების საბჭომ ერთ ექიმს სერტიფიკატი ჩამოართვა, 16-ს სერტიფიკატი შეუჩერა, 33 ექიმს კი გაფრთხილება მისცა. როგორც „ინტერპრესნიუსს" სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილემ, თემურ პირველაშვილმა აცნობა, ექიმთა პროფესიული განვითარების საბჭოზე გახმაურებული საქმეები, ექიმთა პასუხისმგებლობისა და პროფესიული რეგულირების შესახებ საკითხები განიხილს.

მისივ თქმით, ყველაზე გახმაურებული საქმე „ავერსის" კლინიკაში ბავშვის გარდაცვალების ფაქტს ეხებოდა, ექიმს სერტიფიკატი ჩამოერთვა. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

პირველაშვილმა აღნიშნა, რომ საჩივრების მიხედვით, ზოგიერთ შემთხვევებში პაციენტები ზიანისა და გაწეული ხარჯების ფინანსურ ანაზღაურებას კომპენსაციასაც ითხოვდნენ. სხდომაზე განხილული საქმეები სხვადასხვა პერიოდის იყო.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანდაცვის მინისტრი ანდრია ურუშაძე, მინისტრის მოადგილეები და ექსპერტები.

**ინტერპრესნიუსი**

## თბილისის 175 შუქნიშანი ახალი რეჟიმით მუშაობს

დედაქალაქის 195 შუქნიშნიდან 175 უკვე ახალი რეჟიმით მუშაობს.

თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის აკაკი ჯოხაძის განცხადებით, ახალი რეჟიმი გულისხმობს იმას, რომ შუქნიშანზე, წითელი ფერის შემდეგ, პირდაპირ მწვანე ფერი აინთება.

როგორც აკაკი ჯოხაძემ „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, აღნიშნული გადაწყვეტილება სატრანსპორტო საშუალებებისთვის მოძრაობის გაუმჯობესების მიზნით მიიღეს. მისივე თქმით, როცა შუქნიშანზე მწვანე ფერი ანთია, წითელზე ის ისევ ყვითლის გავლით დაბრუნდება.

— როგორც წესი, ყვითელი სიგნალის ნათების ხანგრძლივობა 3-4 წამს შეადგენს. წითლის შემდეგ პირდაპირ მწვანე შუქის ანთება, საშუალებას იძლევა, ყვითელი ფერისთვის განკუთვნილი დროის ხანგრძლივობაც მწვანე ფერს მიემატოს და გავლის ხანგრძლივობა გაიზარდოს, — განაცხადა ჯოხაძემ.

მისივე თქმით, წითლის შემდეგ ყვითელი ფერის ანთებაზე მძღოლები უკვე მოძრაობას იწყებდნენ, რაც დედაქალაქში არსებულ გზაჯვარედინებზე ხშირად ქმნიდა საავარიო სიტუაციებს. აღნიშნული ცვლილება კი, ჯოხაძის განცხადებით, ამგვარ სიტუაციებს მაქსიმალურად შეამცირებს. როგორც ჯოხაძემ განმარტა, ცვლილება ჯარიმების რაოდენობას არ გაზრდის.

— თუ მძღოლი წითელ შუქნიშანზეა გაჩერებული და შემდეგ მწვანე აინთება, მწვანეზე გავლისთვის ის არ დაჯარიმდება, ხოლო წითელზე გავლა აქამდეც ჯარიმას ითვალისწინებდა, — განაცხადა ჯოხაძემ.

მისივე თქმით, დარჩენილი 20 შუქნიშანიც უახლოეს მომავალში მუშაობის ახალ რეჟიმზე გადავა.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველოში ჩინელი ინვესტორები ჩამოდიან

ჩინელი ინვესტორები საქართველოში მსხვილი პროექტების განხორციელებით დაინტერესდნენ. ჩინური დელეგაცია თბილისს ერთ კვირაში ეწვევა და მოლაპარაკებებს მთავრობის წარმომადგენლებთან გამართავს, — აცნობეს „მედიანიუსს" ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან.

სოფლის მეურნეობის, ენერგეტიკის და კომუნიკაციის სფეროში მომუშავე კომპანიების ხელმძღვანელებს ჩინეთში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე არჩილ კეკელია შეხვდა, რომელმაც ბიზნესმენებს საქართველოს საინვესტიციო პოტენციალი გააცნო და კონკრეტული პროექტები წარუდგინა.

მინისტრის პირველმა მოადგილემ ინვესტორებს გააცნო ინფორმაცია საქართველოში კორუფციის დაბალი დონის და ლიბერალური საგადასახადო სისტემის შესახებ, რამაც ბიზნესმენთა კიდევ უფრო მეტი დაინტერესება გამოიწვია.

**მედიანიუსი**

# გია ბუღაძემ მემორანდუმი გააფორმა

ეკა ირემაშვილი

**სამხატვრო აკადემიის რექტორმა გია ბუღაძემ და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელმძღვანელმა ირაკლი შონვაძემ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.**



მემორანდუმი ითვალისწინებს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს ერთობლივი შემოქმედებითი და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაცული ტერიტორიების სააგენტო ხელს შეუწყობს სტუდენტებისათვის დაცულ ტერიტორიებზე ექსკურსიებისა და ლაშქრობების მოწყობას, დაინტერესებული მეცნიერებისა და სტუდენტებისთვის ვიზიტს დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებში და მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

სამხატვრო აკადემია ხელს შეუწყობს სასწავლო-შემოქმედებითი სამუშაოების განხორციელებას საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე, საშუალება მისცემს სააგენტოს წარმომადგენლებს, ისარგებლონ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით დაგეგმილი ღონისძიებების ჩასატარებლად, მონაწილეობას მიიღებს სააგენტოს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამაში, კონკურსებში, გამოფენებში. ღონისძიების პარალელურად მოეწყო თუშეთის ეროვნული პარკის ფოტოგამოფენა, რომელიც სამხატვრო აკადემიაში ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. მოწვეული სტუმრები საქართველოს დაცული ტერიტორიების შესახებ პრეზენტაციასაც დაესწრნენ.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ქაღალდის ტექნოლოგიის ლაბორატორიაში შექმნილი გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა-კონკურსიც გაიმართა. გრაფიკის მიმართულებით 2010 წლიდან ფუნქციონირებს ქაღალდის ტექნოლოგიის ლაბორატორია, სადაც სტუდენტები მაკულატურისა და სხვა მინარევების საშუალებით ამზადებენ ექსკლუზიურ, ძვირფას, თვითნაკეთ სხვადასხვა სისქის, ფაქტურისა და ფერის ქაღალდს. ამ ტექნოლოგიით მიღებულ ქაღალდზე სტუდენტებს საშუალება ეძლევათ, დაბეჭდონ გრაფიკული ნამუშევრები და გამოსცენ თვითნაკეთი, ორიგინალური წიგნები. განსაკუთრებით საინტერესო ეფექტს ახდენს მრავალფენიანი ქაღალდის სხვადასხვა ფენაზე შესრულებული გრაფიკა. ლაბორატორიას ხელმძღვანელობს პოლონელი ტიპოგრაფი ვიქტორ ქშისტოპორსკი, რომლის ინიციატივითაც გამოცხადდა ხელნაკეთ ქაღალდზე შესრულებული გრაფიკული ნამუშევრების კონკურსი.

გია ბუღაძე, სამხატვრო აკადემიის რექტორი:

— ჩვენმა აკადემიამ საკმაოდ მნიშვნელოვანი მემორანდუმი გააფორმა, რომლის საშუალებითაც შევძლებთ, ერთობლივი პროექტები განვახორციელოთ ახალგაზრდებთან და სტუდენტებთან ერთად. ჩვენ ყველას კიდევ ერთხელ უნდა დავანახვოთ, რას ნიშნავს სამყარო, ჩვენი გარემო, ბუნების დაცვა და რა ფორმით ვემსახურებით ჩვენს გარემოს.

გიორგი შონვაძე, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელმძღვანელი:

— სამხატვრო აკადემიასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელდება დაცულ ტერიტორიებზე სხვადასხვა აქციები. ჩვენი ძირითადი მიზანია სტუდენტების ჩართვა ეკო-საგანმანათლებლო საქმიანობაში და ამ უმაღლეს სასწავლებელთან მჭიდრო თანამშრომლობა.

მოწვეულ იქნეს შპს „სარკის“ (ს/კოდი: 208145452) პარტნიორთა საერთო კრება 2011 წლის 17 აპრილს, დღის 15 საათზე, მისამართზე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის №111, I კორპუსი; შემდეგი დღის წესრიგით:

1. საზოგადოების საწესდებო კაპიტალში შენატანების განხორციელების შედეგების განხილვა (შენატანის განუხორციელებელი პარტნიორი გარიცხული იქნება);
2. საზოგადოების წესდების ახალი რედაქციით მიღება;
3. საზოგადოების პარტნიორებისათვის დამატებითი შენატანების განხორციელების დავალება.

საზოგადოების დირექტორი გთავაზობთ, წარმოადგინოთ დღის წესრიგთან დაკავშირებული წინადადებები და შენიშვნები კრების ჩატარებამდე არანაკლებ 3 დღით ადრე.

# ამერიკამ სააკაშვილზე ხელი ჩაიქნია

## ჩვენი პრეზიდენტი „ვოვოჩკად“ გადაიქცა

შორენა კოწოწაშვილი

**კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი ფაქტობრივად გამორიცხავს ისრაელის მიერ აფხაზეთის აღიარებას, თუმცა აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთისა და ოსეთის ტერიტორიები სხვა ქვეყნებს საჯიჯგნად დაუტოვა.**

**— საქართველოს ხელისუფლება უდიდეს შეცდომებს უშვებს, რომელიც უკვე დანაშაულზე მძიმეა. რა შუაშია ისრაელი და აფხაზეთი, როდესაც ჩვენ თვითონ არ გვაქვს სწორი პოლიტიკა აფხაზებთან მიმართებით და ბოლომდე მივყარეთ ჩვენი წინდაუხედავი სტრატეგიითა და პრემიერ-მინისტრის 2010 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით საერთოდ იზოლაციაში მოვაქციეთ ეს მხარეები და რუსეთს ბოლომდე მივეცით საჯიჯგნად აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, — აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი.**

**რატომ წავიდა სააკაშვილი და მისი გუნდი ებრაელ ბიზნესმენებთან ასეთ მასშტაბურ პროვოკაციაზე, რატომ ჩაიქნია ამერიკამ ხელი საქართველოზე და რატომ ფიქრობს ექსპერტი, რომ საქართველო ტყემალზე ზის იმ საკითხთან მიმართებით, რომელსაც რუსეთის მსო-ში გაწევრიანება ჰქვია? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს ექსპერტ პაატა ზაქარეიშვილთან.**

***— ბატონო პაატა, რა ვითარებაში აღმოჩნდა საქართველო ისრაელთან მიმართებით ებრაელი ბიზნესმენების დაპატიმრების შემდგომ და რამდენად წინდაუხედავ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს სააკაშვილის ხელისუფლება?***

— რა თქმა უნდა, ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ უკვე დიდი ხანია საქართველო ამ მდგომარეობაშია. ისრაელთან ურთიერთობებშიც და სხვა ურთიერთობებშიც, იგივე ჰააგის სასამართლოსთან დაკავშირებით, ყველგან ჩანს, რომ საქართველო ძალიან უცნაურად, არაკომპეტენტურად, არაკვალიფიციურად და ხშირად გამომწვევად იქცევა. ისრაელის ბიზნესმენებთან ურთიერთობაში, რა თქმა უნდა, აშკარად ჩანს, რომ საქართველოს მხრიდან ეს უფრო რაღაც პროვოკაციას ჰგავდა. რა თქმა უნდა, არც ებრაელი ბიზნესმენები იყვნენ ანგელოზები და აშკარად პროვოკაციას წამოეგნენ, მაგრამ პროვოკაცია საქართველოს მხრიდან მოდიოდა. საქმე დაახლოებით ჰგავს იმას, რაც თავის დროზე პროვოკაციაზე წამოაგეს შალვა რამიშვილი. შეიძლება, შალვა რამიშვილი სწორად არ მოიქცა, მაგრამ ხელისუფლება იყო მის წინაშე უფრო დამნაშავე და საზოგადოების წინაშე მან პროვოცირება მოაწყო დანაშაულის ჩადენისა. ასეთივე განწყობაა მსოფლიოში ისრაელის ბიზნესმენებთან დაკავშირებით, რომ ეს არის პროვოცირებული. შესაბამისად, შეიძლება, ბიზნესმენები არ არიან ანგელოზები და არავინ მოითხოვოს, რომ ისინი აღიარებულ იქნენ უდანაშაულო ადამიანებად, მაგრამ საქართველოს მხრიდან მათი პროვოკაციასა და დანაშაულში ჩათრევა, რა თქმა უნდა, თვალშისაცემია და კიდევ ერთხელ არღვევს იმიჯს საქართველოსას, როგორც თითქოსდა სანდოს საინვესტიციო გარემოს მქონე სახელმწიფოს მიმართ.

***— იქიდან გამომდინარე, რომ ებრაელ ბიზნესმენებთან მიმართებით პრემიერ-მინისტრი ანუ ხელისუფლებაა ჩარეული, როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ ვერ გათვალა ამ პროვოკაციის შედეგები თუ ეს ყველაფერი აწყობდა? ფაქტია, პრეზიდენტი დაინტერესებულია, ქვეყნის გარეთ კარგი იმიჯი ჰქონდეს და სერიოზულ პიარს იკეთებს.***

— ის, ვალი რომლის გადახდაც საქართველოს უწევდა, თუ არ ვცდები, 200 მლნ დოლარზეა ლაპარაკი, ეს იმდენად დიდი ვალი იყო, რომ თვალები დაუბნელდათ ამათ და ჩათვალეს, რომ ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა. ინვესტიციები საქართველოში მაინც არ შემოდის. ეს ფაქტია. ეს მხოლოდ შიდა მოხმარებისა და ამომრჩევლისთვის თვალში ნაცრის შესაყრელად სჭირდება, თითქოსდა საქართველოში რაღაცები ხდება. სინამდვილეში არაფერიც არ ხდება. არანაირი ინვესტიციები არ შემოდის. ამ ფონზე, როცა ინვესტიციები არ შემოდის, ბიუჯეტიდან 200 მლნ დოლარი გადინებულიყო, ეს იყო საკმაოდ სერიოზული თანხა და ამიტომ ხელისუფლება ვაბანკზე წავიდა. ესენი წავიდნენ ასეთ გამომწვევ ნაბიჯზე და ებრაელი ბიზნესმენები პროვოკაციაში ჩაითრიეს.

***— როგორ ფიქრობთ, ეს პროვოკაცია ხელისუფლებას შერჩება? არსებობს აზრი, რომ ამით ამერიკასთანაც გაუფუჭდება საქართველოს ხელისუფლებას ურთიერთობა.***

— ამერიკას სააკაშვილზე უკვე დიდი ხანია ხელი ჩაქნეული აქვს. შერჩება-არშერჩება, რა მნიშვნელობა აქვს. ჩვენ არავინ არა ვართ. რატომღაც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს საქართველო მსოფლიოსთვის კიდევ რაღაცას წარმოადგენს. რუსეთის გარდა, საქართველო არავისთვის არაფერს არ წარმოადგენს. ერთადერთი რუსეთი კიდევ ახსენებს ხოლმე საქართველოს, ოღონდ — უკუღმართ ფორმებში. კიდევ კარგი, ამით მაინც ახსენებს, თორემ ისე საქართველოს არავინ აღარ ახსენებს. გუშინ გამოვიდა მედვედევი, ილაპარაკა საქართველოს აგრესიაზე სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ და ამით კიდევ შეახსენა მსოფლიოს საქართველო. სხვა არავინ ახსენებს არანაირ კონტექსტში საქართველოს. ამიტომ ნუ გვგონია, რომ ჩვენზე ფიქრობენ, ჩვენზე ზრუნავენ და ძალიან აინტერესებთ გაიგონ, საქართველოში რა ხდება. არა, ბატონო, ანუ ისრაელის საქმეს რაც ეხება, ისრაელის გარდა, ამას არავინ გაიგებს. ყველამ იცის, რომ საქართველო მათთვის ჩამოწერილი სახელმწიფოა. აქ არავითარი ინვესტიციები არ შემოდის. ფოთის პორტი ავიღოთ. ფოთის პორტი ვერ მოასწრო ხელისუფლებამ გაეყიდა 2008 წელს, დღეს ისევ გაიყიდა. რამდენჯერ უნდა გაიყიდოს ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტი? ანუ არავის არ უნდა. რა თქვეს „რაკიინის“ ინვესტორებმა? — რომ ჩვენთვის ფოთის პორტი აღმოჩნდა არასტრატეგიული მნიშვნელობის, ანუ არაფერი საინტერესო არ ხდება. ამიტომ ყველა ინვესტორი გადის.

***— ეს გასაგებია, მაგრამ, როცა საკითხი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეებს ეხება, აქ ხელისუფლება ხომ უფრო მეტად დაფიქრებულად უნდა მოქმედებდეს. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისრაელმა შესაძლოა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს.***

— არა მგონია, ისრაელმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიაროს. თუ ისრაელი აღიარებს, ეს, რა თქმა უნდა, კარგი არ იქნება, მაგრამ იმაზე მძიმე შედეგი არ ექნება, რაც უკვე მოხდა რუსეთის მხრიდან აფხაზეთის აღიარებით. ეს უფრო საშინელებაა. ასე რომ, ეს, რა თქმა უნდა, კარგი არაა. მაგრამ მე, პირადად, ეჭვი მეპარება, რომ ისრაელმა აფხაზეთი აღიაროს. საქართველოს ხელისუფლება უდიდეს შეცდომებს უშვებს, რომელიც უკვე დანაშაულზე მძიმეა, იმიტომ რომ, რა შუაშია ისრაელი და აფხაზეთი, როდესაც ჩვენ თვითონ არ გვაქვს სწორი პოლიტიკა აფხაზებთან მიმართებით და ბოლომდე მივყარეთ ჩვენი წინდაუხედავი სტრატეგიითა და პრემიერ-მინისტრის 2010 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით, საერთოდ იზოლაციაში მოვაქციეთ ეს მხარეები და რუსეთს ბოლომდე მივეცით საჯიჯგნად აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. რომელ ისრაელის აღიარებაზეა ლაპარაკი, როდესაც ჩვენ თვითონ პრაქტიკულად ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ეს ტერიტორიები სხვებმა აღიარონ, ანუ საქართველო ყველა მიმართულებით იქცევა აბსოლუტურად უგუნურად, როგორც უგუნურად ექცევა თავის ხალხს და 7 ნოემბერი გაიხსენეთ, აქედან მოყოლებული, ასევე ხდება დღემდე. როგორც უგუნურად მოქმედებს ოპოზიციურ რვიანთან მოლაპარაკებებში, როგორც არ უნდა ხელისუფლებას, დათმოს და ნაწილიც არ უნდა დატოვოს ხელისუფლების, ასევე უგუნურად იქცევა ყველგან და ყველაფერში. თუ ორგანიზმი ავადმყოფია, ის ყველაფერში ავადმყოფურად იქცევა, ავადმყოფური გამოვლინებები აქვს.

***— მხოლოდ პიარისთვის სჭირდებოდა ხელისუფლებას რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე თანხმობის სანაცვლოდ დეოკუპაციის მოთხოვნა?***

— მთელ მსოფლიოს სჭირდება რუსეთი, იყოს მსო-ს წევრი. სააკაშვილი გამოდის და უტიფრად ამბობს, რომ თუ რუსეთს უნდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება, ტერიტორიები საქართველოს დაუთმოს და ყველამ იცის, რომ წევრობა რუსეთს არ უნდა. უფრო სწორად, რუსეთს კი უნდა, მაგრამ მსოფლიოს უფრო უნდა რუსეთის მსო-ს წევრობა. ამიტომ სააკაშვილი როცა ამბობს, რუსეთს თუ უნდაო, რუსეთი ეუბნება, სულ ფეხზე არ მკიდია თქვენი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია?! არ მიმიღებთ და ნუ მიმიღებთ. ჩემია ტერიტორია, რასაც მინდა, იმას გავყიდი. რასაც მინდა, იმ პროდუქციას შემოვუშვებ და რა ფასსაც მინდა, იმას დავადებ. გინდათ ვიყო მსო-ს წევრი? მიხედეთ საქართველოს. საქართველო კიდევ გამოდის და თითქოს ტყემალზე ზის, ამბობს, თუ რუსეთს უნდა რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება, ამ დროს მთელი მსოფლიო ყვირის, არა, ჩვენ გვინდა რუსეთის მსო-ს წევრობაო. მაგრამ ეს სააკაშვილს არ ესმის. აშკარად ჩანს, რომ ეს ადამიანი ამით უკვე პრაქტიკულად მთელ მსოფლიოს დაუპირისპირდა.

***— შეიძლება, ეს იმის საწინდარიც გახდეს, რომ სააკაშვილი მსოფლიოს ლიდერების მხრიდან გარიყული აღმოჩნდეს?***

— სააკაშვილი უკვე დიდი ხანია გარიყულია. ობამა სააკაშვილს შემთხვევით შეხვდა



დერეფანში. მას ობამასთან ჯერ კიდევ არ ჰქონია შეხვედრა, როგორც პრეზიდენტს პრეზიდენტთან. საქართველოს დროშასთან და ამერიკის დროშასთან არ დამდგარა არც ერთი პრეზიდენტი. ეს ყველა შეხვედრა იყო შემთხვევითი, რა თქმა უნდა, ჩაწყობილი, ანუ ვიღაცებმა მოაწყვეს შესაბამისად, მაგრამ ეს იყო ობამას შეხვედრა სააკაშვილთან და არა ამერიკის პრეზიდენტის შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან. ამიტომ ვამბობ, რომ დიდი ხანია გარიყულები ვართ. სარკოზი შეხვდა იმიტომ, რომ მეორე დღეს პუტინი ჩამოდიოდა, ანუ რუსეთის პრემიერ-მინისტრი ჩამოდიოდა. რანგით უფრო დაბალი დონის იყო და რანგის უფრო მაღალი დონის ადამიანი დაიბარეს — სააკაშვილი, რომელიც თვეების განმავლობაში ეხვეწებოდა სარკოზის შეხვედრაზე, რათა პუტინის შეხვედრის წინ სააკაშვილს არ გაეფუჭებინა ამინდი და „მისტრალზე“ ცუდი არ ელაპარაკა, ვინაიდან „მისტრალზე“ მოლაპარაკებები პუტინთან მიმდინარეობდა. გამოვიდა სააკაშვილი სარკოზისგან. ბედნიერი იყო, რადგან, როგორც იქნა, სარკოზიმ დათმო, მიიღო და განუცხადა, რომ საქართველოს პრეტენზიები არ აქვს „მისტრალთან“ დაკავშირებით. მორჩა. არანაირი სხვა ფორმით საქართველოსთან არავის კონტაქტი არ აქვს, თუ არა რუსეთთან კონტექსტში, რათა რუსეთი არ გააღიზიანოს. გააღიზიანოს, თავში ქვა უხლია, ეს განწყობაა. მთავარია, რუსეთთან ჩვენ ურთიერთობა არ შეგვიშალოს, ანუ ჩვენ ევროკავშირს ურთიერთობა არ შეგვიშალოს. ჩვენ — შტატებს, რუსეთთან ურთიერთობა არ შეგვიშალოს. ამიტომ რუსეთთან ურთიერთობების კონტექსტში ხვდებიან ხოლმე სააკაშვილს. სააკაშვილი ამას იფორმებს არჩევნების კონტექსტში, რათა საზოგადოებას თავი მოაწონოს, თითქოსდა ვიღაცები ხვდებიან. სინამდვილეში სააკაშვილს იმიტომ ხვდებიან, რომ რუსული ანეკდოტების სერიები რომ იყო, „ვოვოჩკას“ სერიები. ეს არის აბეზარი ბიჭი, რომელიც, თუ კონტაქტი არ გექნება, საქმეს გაგიფუჭებს. სააკაშვილი მსოფლიოსთვის „ვოვოჩკად“ იქცა. ახალგაზრდებმა არ იციან, მთელი სერიალები იყო რუსულ ანეკდოტურ სივრცეში „ვოვოჩკაზე“. აი, სააკაშვილი გახდა „ვოვოჩკა“.

***— ბატონო პაატა, რამდენად არის რეალობასთან ახლოს ინფორმაციები, რომლებიც სომხური მედიით ვრცელდება და რომლებიც საქართველოში ახალი კონფლიქტური კერების გაჩენაზე მიანიშნებს? მართლა მძიმე ვითარებაა ჯავახეთში და ცხელი კერების ნიადაგი მართლაც არსებობს?***

— არა, არანაირად არ არის ამის ნიადაგი. პრესაში ჩვენთანაც ჩნდება ათასგვარი ინფორმაცია. ამან არ უნდა დაგვაფრთხოს. მე კარგად ვიცნობ სომხურ კონტრაქტს. სომხურ საზოგადოებაში, ელიტაში, ხელისუფლებაში — არ არის. მარგინალების დონეზე თუ ვისაუბრებთ, ჩვენც გვყავს მარგინალები და ჩვენც ათას რაღაცას გავიძახით. ჩვენთან ზოგიერთი მარგინალი ფიქრობს იმას, რომ ტაო-კლარჯეთი დაიბრუნოს. რა, ასეთი რაღაც არ არის?! ასეთი მარგინალები სომხეთშიც არიან და ყველგანაც.

**ინდივიდუალური ბინათმშენებლობა ამხანაგობა „გერგეთის“ დამფუძნებლებისა და წევრთა საყურადღებოდ!**

2011 წლის 13 აპრილს, 18 საათზე შედგება ი.ბ.ა. „გერგეთის“ საერთო კრება. დღის წესრიგი: ამხანაგობის თავმჯდომარის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. ამხანაგობის იმ წევრთა საკითხის განხილვა, ვინც ამხანაგობაში შენატანი არ განახორციელა, თანახმად ამხანაგობის ხელშეკრულებისა.

ყველა დამფუძნებლისა და წევრის დასწრება სავალდებულოა. ვაფრთხილებთ ამხანაგობის თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი-გარი სვანიძესა და გიორგი გუჯაბიძეს გამოცხადდნენ საერთო კრებაზე.

# „აგვისტოს ხუთი დღე“ ვალენსიის კინოფესტივალს დახურავს

ეკა ირემაშვილი

**ცნობილი რეჟისორის რენი ჰარლინის გახმაურებული ფილმი, „აგვისტოს ხუთი დღე“, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს შეეხება, ვალენსიის საერთაშორისო კინოფესტივალზე იქნება ნაჩვენები.**

ფილმის შემქმნელებმა გადაწყვიტეს, პრემიერა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგეს. ფილმი 14 აპრილს კინოფესტივალს დახურავს.

ვალენსიის სათავგადასავლო ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი 1979 წლიდან ტარდება და იგი ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ კინოფესტივალად არის მიჩნეული. ფილმის პრემიერას რეჟისორთან ერთად მთავარი როლის შემსრულებლებიც დაესწრებიან. ფილმში მთავარ, საქართველოს პრეზიდენტის როლს ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობი ენდი გარსია თამაშობს. უკვე ცნობილია, რომ რენი ჰარლინი ვალენსიაში ფესტივალის დახურვაზე სპეციალურ




პრიზს მიიღებს და ვალენსიის საპატიო მოქალაქეობაც მიენიჭება.

საქართველოდან ფილმის პრემიერაზე ჩავლენ სახელმწიფო მინისტრი დიასპორის საკითხებში პაპუნა დავითაია, რომელიც ამავე დროს ფილმის ერთ-ერთი პროდიუსერიცაა. მისი განცხადებით, 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ ჰოლივუდელი რეჟისორის მიერ გადაღებული ფილმი ფესტივალს დახურავს.

— ეს ამ ფილმისთვის უკვე პირველი წარმატებაა და ვიმედოვნებთ, რომ ფილმს წარმატებები მომავალშიც აუცილებლად ექნება. ფილმის პრემიერას რეჟისორი რენი ჰარლინი და მსახიობები დაესწრებიან, — განაცხადა პაპუნა დავითაიამ.

რენი ჰარლინის ფილმის დახურული ჩვენება უკვე შედგა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის პროდიუსერები და კინოკრიტიკოსებიც ესწრებოდნენ. ჰარლინის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი სხვადასხვა ქვეყანამ უკვე შეისყიდა. მიუხედავად იმისა, რომ ფილმის ბიუჯეტი მკაცრად არის გასაიდუმლოებული, კულუარებში ამბობენ, რომ მისი გადაღება რამდენიმე მილიონი დოლარი დაჯდა.

ფილმს სახელწოდება რამდენჯერმე შეეცვალა, საბოლოოდ კი შემოქმედებითმა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, ახალი სურათისთვის „აგვისტოს ხუთი დღე“ ეწოდებინა. ვალენსიის საერთაშორისო კინოფესტივალის შემდეგ რენი ჰარლინის ფილმი კიდევ რამდენიმე საერთაშორისო კინოფესტივალს მოივლის. რაც შეეხება მის მსოფლიო პრემიერას, ქართველი და ევროპელი მაყურებელი ფილმის ხილვას დიდ ეკრანებზე ივნისის ბოლოდან შეძლებენ.

# „მგზავრებმა“ მიუსაფარი ბავშვებისთვის იმღერეს

ეკა ირემაშვილი

**„საერთაშორისო ქართულ სკოლაში“ ჯგუფმა „მგზავრებმა“ საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გამართა, რომელიც მთლიანად მზრუნველობამოკლებულ და მიუსაფარ ბავშვებს მიე ძღვნა.**

კონცერტში „მგზავრებთან“ ერთად „საერთაშორისო ქართული სკოლის“ ბავშვებიც მონაწილეობდნენ. ღონისძიება მიზნად ისახავდა უსახლკარო ბავშვებისთვის ერთდღიანი დღესასწაულის მოწყობას. აქციის მიზანს, რომელშიც საქველმოქმედო ფონდ „კარიტასი საქართველოს“ სკოლის აღსაზრდელებიც მიიღებენ მონაწილეობას, წარმოადგენდა „საერთაშორისო ქართული სკოლის“ მოსწავლეებსა და მათ მზრუნველობამოკლებულ თანატოლებს შორის ურთიერთობის დამყარება, მათი გაცნობა და დაკავშირება.

„საერთაშორისო ქართული სკოლა“ უკვე ოთხი წელია არსებობს და მისი მისია მდგომარეობს მოსწავლეთათვის თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტით გათვალისწინებული ქართული განათლების მიცემის გზით დამოუკიდებელი, სწორი ღირებულებების მქონე, მრავალმხრივად განვითარებული ქართველების ჩამოყალიბებაში, რომლებიც შეძლებენ უცხო გარემოში ადაპტაციას. სკოლის პრიორიტეტული მიმართულებებია მშობლიურ ენაზე სწავლება, რაც უზრუნველყოფს უკეთეს შემეცნებას — ყველა საგნის გაძლიერებული სწავლება, უცხო ენების სწავლება ამერიკისა და ევროპის უნივერსიტეტების პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად, ზოგადი უნარების განვითარება ბაღის ასაკიდან და სწავლის სწავლება, რაც გულისხმობს ბავშვებში დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარებას.



„საერთაშორისო ქართული სკოლის“ სასწავლო პროგრამა ეფუძნება სამი ძირითადი შემადგენლის — ძირითადი საგნების, დამატებითი საგნებისა და კლასგარეშე აქტივობების ჰარმონიულად განხორციელებას. მოსწავლეების მრავალმხრივი განვითარების მიზნით, მშობლიურ ენასთან, მათემატიკასთან და უცხო ენებთან ერთად, მათ უტარდებათ გაკვეთილები განმავითარებელ თამაშებში, ქცევის ეტიკეტში, ჭადრაკში, სასცენო ხელოვნებაში, ცეკვაში, რაგბიში, ძერწვასა და კულტუროლოგიაში.

საქველმოქმედო ღონისძიების პირველ ნაწილში სკოლის მეოთხეკლასელებმა სტუმრებს მათ მიერ დადგმულ თოჯინების თეატრის სპექტაკლი წარუდგინეს. სპექტაკლი სკოლის სასცენო ხელოვნების ხელმძღვანელისა და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის ონისე ონიანის დახმარებითა და აქტიური თანამონაწილეობით მომზადდა. წარმოდგენა მუსიკალურად სკოლის მუსიკის მასწავლებელმა, რადიო „მუზის“ მუსიკალურმა რედაქტორმა ანუკი ცქვიტინიძემ გააფორმა, ხოლო წარმოდგენის დეკორაციებისა თუ თოჯინების შექმნაში ბავშვებს სკოლის ხელოვნების მასწავლებელი ნინო მიქაბერიძე დაეხმარა.

სპექტაკლის შემდეგ ღონისძიება ჯგუფ „მგზავრების“ საკონცერტო ნომრებით გაგრძელდა. ჯგუფის წევრები საკუთარი სურვილითა და ენთუზიაზმით შეუერთდნენ სკოლის მიერ წამოწყებულ აქციას. მათ შეკრებილი მსმენელისთვის ახალი და ძველი კარგად ნაცნობი ჰიტები შეასრულეს.

# ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი 70 წლისაა

ეკა ირემაშვილი

ევროპის სახლში გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. 70 წლის საიუბილეო საღამოს ორგანიზატორი გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი იყო. ინსტიტუტის დაარსების თარიღთან დაკავშირებით ევროპის სახლში ახალი წიგნების პრეზენტაცია შედგა.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი 70 წლის წინ, 1941 წლის 1 აპრილს დაარსდა აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის თაოსნობით. სწორედ ამ ინსტიტუტთანაა არსებითად დაკავშირებული საქართველოში ხელოვნების ისტორიის, როგორც სამეცნიერო დარგის განვითარება. გიორგი ჩუბინაშვილის, მისი მოწაფეებისა და კოლეგების (ვახტანგ ბერიძე, თინათინ ვირსალაძე, რუსუდან მეფისაშვილი, ლევან რჩეულიშვილი, რენე შმერლინგი, ზაქარია მაისურაძე, ნიკო ჩუბინაშვილი, სარა ბარნაველი, ვახტანგ ცინცაძე და სხვანი) მრავალწლიანი სამეცნიერო მოღვაწობის შედეგად გამოიკვეთა ქართული ხელოვნების განვითარების გზა და მისი ადგილი მსოფლიო კულტურაში.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს დიდი დამსახურება აქვს ქართული კულტურისა და მეცნიერების წინაშე. სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად ინსტიტუტის მიერ საზღვარგარეთ და საქართველოში მოწყობილმა მრავალმა საერთაშორისო სიმპოზიუმმა ხელი შეუწყო ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას მსოფლიოს კულტურულ და სამეცნიერო წრეებში. სამეცნიერო კვლევაძიების გარდა, მნიშვნელოვანია მისი წვლილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეშიც (კონსერვაცია-რესტავრაცია) და, რაც მთავარია, მეცნიერთა მომავალი თაობების აღზრდაშიც.

2005 წელს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და სერგო ქობულაძის სახელობის ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე შეიქმნა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ექვემდებარება. ცენტრი აგრძელებს ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის საქმიანობას. ის წარმოადგენს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული კვლევის, პოპულარიზაციისა და საკონსერვაციო პროგრამების შემუშავებისა და ექსპერტიზის ერთ-ერთ წამყვან დაწესებულებას საქართველოში.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო ცენტრის მიერ გამოცემული ახალი წიგნები და ალბომები: კ. მაჩაბელი, შუა საუკუნეების ქართული ქვაჯვარები ქართული ქრისტიანული ხელოვნება (ავტორთა ჯგუფი) მეორე გამოცემა; მ. ყენია, ზემო სვანეთი. შუასაუკუნოვანი კედლის მხატვრობა; იშხანი (თ. დვალი, ნ. ანლულაძე, ფ. დევდარიანი, ვ. სილოგავა); დავითგარეჯის მონასტრები. ნათლისმცემელი, ბერთუბანი (მ. ბულია, დ. თუმანიშვილი, ნ. ვოლსკაია, თ. ჯოჯუა).

წიგნები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით გამოიცა. წიგნების შეძენა პრეზენტაციაზევე იყო შესაძლებელი, თუმცა, ვინც მათი ყიდვა საიუბილეო ღონისძიებაზე ვერ შეძლო, ისინი წიგნებს გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნულ ცენტრსა და თბილისის წიგნების მაღაზიებში შეიძენენ.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




**იცხოვრეთ მომავალისთვის.**

**უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.**

**საბანკო რეკვიზიტები:**

**ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425**
**ხობი, სოფ.ნოჯიხევი**
**ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.**
**ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი**
**ბ/კ: 220 101 465**
**ანგ. N 36 010 892 GEL;**
**136 180 892 USD;**
**236 180 892 EUR**



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

**ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)**

## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- 200-ლიტრიანი ბურახის კასრი მუშა მდგომარეობაში. 1600 ლარი. ტელ:. 857 91 55 77;
- იზოლირებული, კორიდორული 30 კვ.მ. ერთი ოთახი, პრივატიზებული საშუალო რემონტით. 10(16). ლიფტი მუშაობს 5-მდე. ცნობებისათვის დარეკეთ: 857 91 55 77;
- 100 კვ.მ. სამოსახლო ფართი ქალაქ თბილისში, ყოფილი ჰოსპიტალის უკან. საექიმოს გასასვლელი №12. ფასი 10 000 დოლარი. ტელ.: 877 19 20 10;
- სააგარაკე მიწის ნაკვეთი 500 კვ.მ. ბორჯომის რაიონის სოფელ ცემში. 1 კვ.მ. ფასი 20 დოლარი. ტელ:. 858 108 858;
- ავტომანქანა ფორდ-ესკორტი, 1992 წლის გამოშვება, სველი ასფალტისფერი, ნორმალურ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით მყიდველის სასარგებლოდ. ტელ:. 898 91 20 50.

## განცხადებები

- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.
- ბაგებში იყიდება მიწის ნაკვეთი 716 კვ.მ. შესანიშნავი ხედით, დამტკიცებული პროექტითა და მშენებლობის ნებართვით. მიყვანილია ყველა სახის კომუნიკაცია. ტელ: 899-49-02-67.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.
- იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

# გოჩა ხოჯავა: გამარჯვებას ქართული ღვინით აღვნიშნავთ

რუსული პრემიერლიგის ბოლო ტური ქართველი ფეხბურთელებისთვის წარმატებული გამოდგა. მეკარე ნუკრი რევიშვილი (ანჟი) და მცველები, ლაშა სალუქვაძე (ვოლგა) და ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი) პოპულარულმა სპორტულმა გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა“ ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

ჩვენი აზრით, იქ მოხვედრას იმსახურებდა „ვოლგას“ კიდევ ერთი ქართველი გოჩა ხოჯავაც, რომელმაც მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩში გოლი და საგოლე პასი მიითვალა.მართალია, ხოჯავა სიმბოლურ ნაკრებში ვერ მოხვდა, მაგრამ მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი დასახელდა. ქართველმა პლეიმეიკერმა არაფრიდან შექმნა საგოლე მომენტები და პატარა საფეხბურთო სპექტაკლი დადგა — პირველი გოლისას საჯარიმოს ხაზთან ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველი ტომისლავ დუიმოვიჩი და რუსეთის ნაკრების მოთამაშე იგორ სემშოვი ლამაზი ფინტით გააცურა, გამოზომილი და ეფექტური პასით მიხეილ პლეშჩანი მეკარესთან პირისპირ დატოვა და გაატანინა. მეორე გოლი კი მისივე წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმით გაიტანა. უნდა აღვნიშნოთ, რომ მესამე გოლიც მისი წამოწყებული კომბინაციის შემდეგ გავიდა.

მოკლედ, გოჩა ხოჯავამ პრემიერლიგაში ბენეფისი მოიწყო და „სპორტ-ექსპრესთან“ საუბარში ქართული ღვინოც ახსენა, გამარჯვებას მხოლოდ ჩვენებური სასმელით აღვნიშნავთო.

**გოჩა ხოჯავა:**

— ვიცოდით, რომ „დინამო“ ძალიან ძლიერი გუნდია. დავალებული გვქონდა, თამაში მთელ მოედანზე პრესინგით დაგვეწყო და შემდეგ დაცვაში „ჩავმჯდარიყავით“. თუმცა, პირველი ტაიმის ბოლოს, სტუმრებმა ჩვენს კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. შესვენებაზე მთავარმა მწვრთნელმა გვითხრა, რომ უნდა შეგვეტია და მხოლოდ მოგებაზე გვეთამაშა. ძალიან ვცდილობდი, გუნდისთვის სარგებელი მომეტანა. მიხარია, რომ გამომივიდა. ბიჭები გამარჯვებაში დარწმუნებულნი იყვნენ, მაგრამ ანგარიში რომ 3:0 იქნებოდა, ცხადია, არავინ ელოდა.

***— მართალია, რომ შესვენებაზე მთავარ მწვრთნელს ხმის აწევა მოუწია?***

— ჩვეულებრივი სამუშაო მომენტია, არაფერი განსაკუთრებული. მთავარია, რომ შესვენების შემდეგ მართლაც აქტიურად ავთამაშდით და ამან შედეგი გამოიღო. გოლი ჩემს შვილს მივუძღვენი, რომელიც თამაშს საქართველოში ტელევიზორით უყურებდა.

***— ასეთი სახიფათო საჯარიმო დარტყმებით მეკარეებისთვის იმედი ადრეც გაგიცრუებიათ?***

— შესაძლოა, ასეც იყო. თუმცა, მსგავს რამეებზე ყურადღებას არ ვამახვილებ.

***— წარმატებისგან თავბრუ ხომ არ დაგეხვევათ?***

— არა. გარწმუნებთ, რომ ვარჯიშებზე კიდევ უფრო გულმოდგინედ ვიმუშავებთ.

***— მოსკოვის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა, მიოდრაგ ბოჟოვიჩმა აღნიშნა, რომ „ვოლგა“ მსგავს „მძიმე“ მოედანზე თამაშს მიჩვეული იყო.***

— ასე ნამდვილად არ ყოფილა. მატჩამდე კისლოვოდსკში ვვარჯიშობდით, სადაც მოედნის საფარი ბეტონივით იყო. ჩვენ მოედანზე კი, პირიქით, საფარი ძალიან რბილია. თუმცა, მასზე არ გვივარჯიშია, მხოლოდ ვითამაშეთ. ასე რომ, ყველა თანაბარ პირობებში ვიყავით.

# საინტერესო ჩემპიონატი — თავსა და ბოლოში დაძაბულობაა

დღეს გაიმართება საქართველოს ჩემპიონატის 28-ე ტურის მატჩები. რაც უფრო დასასრულისკენ მიდის ტურნირი, მით უფრო ეშხში შედის. ძალიან დიდია ვნებათაღელვაც, ფეხბურთელები უკვე ემოციებსაც ვერ თოკავენ და ეს, ცოტა არ იყოს, აუფერულებს მიმდინარე გათამაშებას.

არადა, ბრძოლა ყველა ადგილისთვის დაძაბულია — ზოგი ჩემპიონობისთვის იბრძვის, ზოგიც — ევროსაგზურისთვის, ზოგიერთის ამოცანა კი უმაღლესში ადგილის შენარჩუნებაა.



**ტორპედო — ზესტაფონი**
**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 19:00**

იმერულ დერბიში ორივე გუნდს სხვადასხვა ამოცანა აქვს — „ზესტაფონი“ ჩემპიონობისთვის იბრძვის, „ტორპედოს“ მიზანი კი ევროთასებზე მოხვედრაა. თუმცა, ქუთათურებს თავისი ამოცანის გადაჭრა საქართველოს თასის გათამაშებიდანაც შეუძლიათ, მაგრამ მეტოქედ იქაც ზესტაფონლები ჰყავთ და ამიტომ გამორიცხული არ არის, სულაც მიზნის მიუღწევლები დარჩნენ.

ჩემპიონატის ლიდერი ქუთაისს სერიოზული დანაკლისით ესტუმრება — „ზესტაფონს“ დისკვალიფიკაციის გამო მურთაზ დაუშვილი, ჯაბა დვალი და ნიკა გელაშვილი დააკლდებიან. თუ ბომბარდირთა სიას გადავხედავთ, ნათლად ჩანს, თუ რა ძალას წარმოადგენს დვალი-გელაშვილის დუეტი გია გეგუჩაძის შეგირდებისთვის.

ჩვენი პროგნოზი: 0:1

**ვიტ ჯორჯია — ოლიმპი**
**თბილისი. სპორტკომპლექსი შატილი. 16:00**

არანაკლებ საინტერესო მატჩი. აქაც ორივე გუნდის მიზანი სხვადასხვაა — რუსთაველები ჩემპიონის ტიტულის დაცვას აპირებენ, ხოლო ვეტერინარებს არ სურთ წლევანდელი წელი ევროპის გარეშე გამოტოვონ.

მიმდინარე სეზონში თითქოს „ვიტ ჯორჯია“ განსაკუთრებულ ძალას არ წარმოადგენს, მაგრამ ბოლო დროს გუნდი კარგად ათამაშდა და ბოლო 6 ტურში 5 მოიგო და ერთი ფრედ ითამაშა. თავის მხრივ, რუსთაველებსაც არაფერი დაუკარგავთ და მიუხედავად ბოლო ტურში ბოლნისში განცდილი მარცხისა, მაინც სერიოზულ პრეტენზიას აცხადებენ ჩემპიონობაზე.

ერთია, რუსთაველებს ექსჯორჯიელი, გუნდის კაპიტანი ალექსანდრე კვახაძე დისკვალიფიკაციის გამო დააკლდებათ.

ჩვენი პროგნოზი: 1:2

**სპარტაკი — დინამო**
**გორი. ქართლის სტადიონი. 16:00**

მართალია „დინამო“ სოლიდური სხვაობით ჩამორჩება ლიდერს, მაგრამ 2 მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული, რაც მის შანსებს ჩემპიონობისთვის ერთიორად ზრდის. გუნდში ახალი ხელმძღვანელობის მისვლის შემდეგ ქართული ფეხბურთის ფლაგმანი ცოტა უკეთ ათამაშდა და გაცილებით სერიოზული ამბიციაც გაუჩნდა.

რაც შეეხება „სპარტაკს“: გუნდი ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის და მისთვის ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს. ცხადია, ცხინვალელები უბრძოლველად არაფერს დათმობენ და „დინამოსაც“ იოლი მატჩი ნამდვილად არ ელის.

ჩვენი პროგნოზი: 1:2

**სამტრედია — კოლხეთი**
**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონი. 16:00**

ორი აუტსაიდერის მატჩი. ალბათ აღარ არის იმის თქმა საჭირო, თუ რა დატვირთვა აქვს ამ შეხვედრას ორივე გუნდისთვის. რომ იტყვიან, 6-ქულიანი მატჩია.ჯერჯერობით, სატურნირო ცხრილში კოლხები წინ არიან, მაგრამ სამტრედიელები შინ თამაშობენ და გამარჯვების შემთხვევაში შანსი აქვთ ერთბაშად 2 საფეხურით დაწინაურდნენ და გასავარდნ ზონას დაუსხლტნენ.

თავის მხრივ, მეტოქისთვის ამ შანსის მიცემას ხელს შეუშლიან სტუმრები და საფეხბურთო ლოგიკით დაძაბული და საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს.

ჩვენი პროგნოზი: 1:1

**სიონი — ბაია**
**ბოლნისი. თეიმურაზ სტეფანიას სახელობის სტადიონი. 16:00**

ბოლნისელები არასტაბილური გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებენ. შეუძლიათ ლიდერებს ტოლ-სწორად ეთამაშონ და სენსაციაც გამოაცხონ, მაგრამ მომდევნო ტურში უკვე თავად ფავორიტებად შერაცხულებმა სხვას გაატანონ ქულები.

ზუგდიდელებთან ფავორიტად ისინი ითვლებიან, მაგრამ ეს უფრო მასპინძლის უპირატესობაა. „ბაიას“ ჯერ კიდევ აქვს შანსი ევროტურნირებზე მოხვდნენ და საამისოდ ყველაფერს ეცდებიან, რომ შინ უქულოდ არ დაბრუნდნენ.

ჩვენი პროგნოზი: 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

1.ზესტაფონი 27 17 5 5 52:15 56
2.ოლიმპი 27 16 6 5 40:20 54
3.დინამო 25 13 8 4 35:12 47
4.ვიტ ჯორჯია 26 12 3 11 29:30 39
5.ბაია 26 10 5 11 25:34 35
6.ტორპედო 27 8 10 9 17:17 34
7.სიონი 27 7 8 12 17:33 29
8.სპარტაკი 27 6 7 14 26:32 25
9.კოლხეთი 27 6 7 14 16:37 25
10.სამტრედია 27 6 5 16 23:50 23

**ბომბარდირები:** ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) — 14 ბურთი, ირაკლი მოდებაძე (ოლიმპი) — 12, რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი), გიორგი მეგრელაძე (ტორპედო) — 11-11, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) — 10.

# ქართველები ელიტასთან ითამაშებენ

საქართველოს 18-წლამდე მორაგბეთა ნაკრებს, საფრანგეთში გასამართ ევროპის ჩემპიონატზე ძალების მოსინჯვის შანსი „ექვსი ერის“ ორ წარმომადგენელთან, იტალიასთან და შოტლანდიასთან ექნება.

ევროპული რაგბის მმართველმა ორგანიზაცია ფირა-აერ-მა, ამ ასაკობრივ ჯგუფში ევროპის ჩემპიონატის ახლებურად ჩატარება განიზრახა და ე.წ. მეორე დონის გუნდებს, „ექვსი ერის“ ორ უარეს გუნდთან თამაშის შანსი მისცა. ასეთები კი სწორედ შოტლანდია და იტალია აღმოჩნდნენ.

18-წლამდე მორაგბეთა პირველ დივიზიონში, თითოეულ გუნდს სამი შეხვედრის გამართვა მოუწევს და იქ ყველა ადგილი გათამაშდება. მეოთხედფინალში საქართველოს ნაკრები რუსეთს ეთამაშება და გამარჯვების შემთხვევაში, ნახევარფინალში მისი მეტოქე იტალიასა და პორტუგალიას შორის გამარჯვებული იქნება. მეორე ნახევარფინალში შოტლანდია-რუმინეთსა და ბელგია-გერმანიის წყვილს შორის გამარჯვებულები ითამაშებენ. აღსანიშნავია, რომ პირველი დივიზიონის გამარჯვებული საგაისოდ საუკეთესო ოთხეულში თამაშის უფლებას არ მიიღებს. ევროპული რაგბის მმართველებს სურთ, რომ ჯერ ქვეყნის დონეთა შორის სხვაობას დააკვირდნენ და თუ „მეორე ეშელონის“ გუნდებმა შოტლანდია და იტალია დაიბრიყვეს, მერე იქნებ „ექვსი ერის“ კარი ჯერ დაბალ დონეზე, სამომავლოდ კი, მაღალ დონეზეც შეაღონ.

სამაგიეროდ, კარი არასდროს დახურულა ქვედა დონეებზე და პირველი დივიზიონის მერვეადგილოსანი საგაისოდ იქ ადგილს მეორე დივიზიონის გამარჯვებულს დაუთმობს.

საქართველოს 18-წლამდე ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის დიდი ხანია ემზადება და თებერვალში, საფრანგეთში ერთი შეკრების გავლა უკვე მოასწრო. უშუალოდ წინასატურნირო შეკრებისთვის, ლევან მგელაძეს საფრანგეთში 26 მორაგბე დღეს მიჰყავს (4 აპრილს) და ორი საკონტროლო მატჩის გამართვაც იგეგმება, რის შემდეგაც 16 აპრილს უკვე ტურნირში ჩაებმებიან და საქართველო-რუსეთის მორიგი სარაგბო დაპირისპირებაც შედგება.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების შემადგენლობა ასეთია: საბა ნიკოლავა, ნიკოლოზ სუხაშვილი, გიორგი სორდია, თამაზ მჭედლიძე, დავით ხიდეშელი, მერაბ შარიქაძე, ვაჟა ხუციშვილი, გიორგი აფციაური, გიორგი მჭედლიშვილი, გიორგი ტალახაძე, ლაშა მოსეშვილი, საბა შუბითიძე, ზურაბ თუთბერიძე, თორნიკე ჯიბლაძე, გიორგი ლომთაძე, გიორგი თეთრაშვილი, ნოდარ მარდალეიშვილი, ვახტანგ ახობაძე, ნიკოლოზ პინაიშვილი, მურთაზ გიორგაძე, გიორგი ბასილაია, ბესარიონ შენგელია, რატი ასათიანი, გიორგი ნათელაშვილი, გიორგი ფრუიძე, თამაზ ოლხიაშვილი.

პირველი დივიზიონი. საფრანგეთი. 15-24 აპრილი

მეოთხედფინალი. 16 აპრილი

1.შოტლანდია (1)-რუმინეთი (8)

2.იტალია (2)-პორტუგალია (7)

3.საქართველო (3)-რუსეთი (6)

4.ბელგია (4)-გერმანია (5)

თასის ნახევარფინალები. 19 აპრილი

5.პირველის გამარჯვებული-მეოთხეს გამარჯვებული

6.მეორეს გამარჯვებული-მესამეს გამარჯვებული

ნახევარფინალები V-VIII ადგილებისათვის. 19 აპრილი

7.პირველის დამარცხებული-მეოთხეს დამარცხებული

8.მეორეს დამარცხებული-მესამეს დამარცხებული

23 აპრილი

მეშვიდე ადგილისთვის

მეშვიდეს დამარცხებული-მერვეს დამარცხებული

მეხუთე ადგილისთვის

მეშვიდეს გამარჯვებული-მერვეს გამარჯვებული

მესამე ადგილისთვის

მეხუთეს დამარცხებული-მეექვსეს დამარცხებული

ფინალი

მეხუთეს გამარჯვებული-მეექვსეს გამარჯვებული.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# ჩხუბი და ცუდი მიზანი

ინგლისის პრემიერლიგის ბოლო ტურის მატჩში — „სტოკ სიტისა“ და „ჩელსის“ შემდეგ, ლონდონელთა ფორვარდ დიდიე დროგბას საკუთარ გულშემატკივართან უსიამოვნება მოუვიდა. მიზეზი: კოტ დ□ივუარელმა შეხვედრის ბოლო წამებზე კუთხურიდან ბურთი პირდაპირ საჯარიმოში კი არ ჩააწოდა, გაათამაშა. მავანმა გულშემატკივარმა ეს ვერ აიტანა და ტრიბუნიდან რაღაც მკვახედ დაუძახა. ამაზე დროგბა გაფიცხდა და საფინალო სასტვენის შემდეგ, მაშინ, როდესაც „ჩელსის“ დანარჩენი მოთამაშეები ინგლისური ტრადიციის მიხედვით გულშემატკივარს ტაშს უკრავდნენ და მოწინააღმდეგეებს ხელს ართმევდნენ, მოედნიდან ტრიბუნაზე რაღაცას იძახდა. ამბობენ, რომ დროგბა ფანს ერთი წუთის წინანდელი ნათქვამის გამეორებას სთხოვდა, ოღონდ, თუ ბიჭი ხარ, პირში მითხარიო.

საქმეში პაოლო ფერეირა ჩაერია და გაცეცხლებული თავდამსხმელი გვირაბში შეიყვანა.

მიმომხილველებმა დაასკვნეს, რომ თავდამსხმელის ასეთი გაფიცხება სხვა არაფერი იყო თუ არა დასტური იმისა, რომ მისთვის მიმდინარე სეზონი წარუმატებელია. „სტოკის“ კარში დროგბას მიერ გატანილმა გოლმა „ჩელსი“ იმ დღეს წაგებისგან იხსნა, მაგრამ მეორე მხრივ, წარმატებას ნაჩვევი ფეხბურთელისთვის ეს 10-კვირიანი უქმობის შემდეგ პირველი გოლი გახლდათ.

თუმცა, რატომ მარტო დროგბას — თუ „ჩელსის“ სტატისტიკას გადავხედავთ, კარგი მაჩვენებელი საერთოდ არ ჩანს. ბოლო 9 შეხვედრაში ლონდონელებმა 11 გოლი გაიტანეს. ამათგან, სამი მცველებმა შეაგდეს, ხუთი ნახევარმცველებმა. „სტოკთან“ შეხვედრაში, ფორვარდებმა, რომელთა ჯამური ფასი დაახლოებით 100 მილიონი გირვანქა სტერლინგია, კარში მხოლოდ ერთხელ დარტყეს. დროგბას კიდევ არა უშავდა, გოლის გარდა ექვსჯერ დაარტყა და მართალია ექვსჯერვე ააცილა, მაგრამ დარტყმას მაინც ცდილობდა. დანარჩენმა სამმა ფორვარდმა კი მხოლოდ ერთხელ შეძლო დარტყმა და იმ ერთ შემთხვევაშიც „სტოკის“ მეკარეს ნერვიულობა არ დასჭირვებია — ბურთი კარის ჩარჩოს ასცდა.

# შედეგები

**ფეხბურთი**

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ქპრ-შეფილდი ........ 3:0

**იტალია. სერია ბ**

ფროსინონე-სიენა ........ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ალმერია-ბილბაო ........ 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 30 | 26 | 3 | 1 | 82:15 | 81 |
| 2.რეალი | 30 | 23 | 4 | 3 | 69:22 | 73 |
| 3.ვალენსია | 30 | 17 | 6 | 7 | 46:35 | 57 |
| 4.ვილიარეალი | 30 | 16 | 6 | 8 | 48:31 | 54 |
| 5.ბილბაო | 30 | 14 | 3 | 13 | 47:42 | 45 |
| 6.სევილია | 30 | 13 | 6 | 11 | 46:44 | 45 |
| 7.ესპანიოლი | 30 | 14 | 1 | 15 | 38:43 | 43 |
| 8.ატლეტიკო | 30 | 12 | 6 | 12 | 45:41 | 42 |
| 9.ლევანტე | 30 | 11 | 5 | 14 | 33:40 | 38 |
| 10.მალიორკა | 30 | 11 | 5 | 14 | 31:40 | 38 |
| 11.ოსასუნა | 30 | 9 | 8 | 13 | 36:36 | 35 |
| 12.ხიხონი | 30 | 8 | 11 | 11 | 28:35 | 35 |
| 13.სოსიედადი | 30 | 11 | 2 | 17 | 40:51 | 35 |
| 14.ხეტაფე | 30 | 9 | 7 | 14 | 41:49 | 34 |
| 15.დეპორტივო | 30 | 8 | 10 | 12 | 25:40 | 34 |
| 16.რასინგი | 30 | 9 | 9 | 12 | 30:44 | 33 |
| 17.სარაგოსა | 30 | 7 | 9 | 14 | 29:43 | 30 |
| 18.მალაგა | 30 | 8 | 5 | 17 | 39:62 | 29 |
| 19.ერკულესი | 30 | 8 | 5 | 17 | 28:48 | 29 |
| 20.ალმერია | 30 | 5 | 11 | 14 | 31:51 | 26 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფრანკფურტი-ბოხუმი ........ 0:1

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ნანტი-ბულონი ........ 1:2

**ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი**

იგლზი-როზენდალი ........ 2:0

**პორტუგალია. ა ლიგა**

ნაციონალი-ფერეირა ........ 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 25 | 23 | 2 | 0 | 58:9 | 71 |
| 2.ბენფიკა | 25 | 18 | 1 | 6 | 52:23 | 55 |
| 3.ბრაგა | 25 | 12 | 4 | 9 | 41:30 | 40 |
| 4.სპორტინგი | 25 | 10 | 9 | 6 | 34:26 | 39 |
| 5.გიმარაეში | 25 | 9 | 7 | 9 | 28:32 | 34 |
| 6.ნაციონალი | 25 | 9 | 7 | 9 | 22:27 | 34 |
| 7.ფერეირა | 25 | 8 | 9 | 8 | 24:31 | 33 |
| 8.მარიტიმუ | 25 | 8 | 7 | 10 | 31:26 | 31 |
| 9.რიუ ავე | 25 | 8 | 6 | 11 | 24:27 | 30 |
| 10.ლეირია | 25 | 8 | 6 | 11 | 20:30 | 30 |
| 11.ბეირა მარი | 25 | 6 | 11 | 8 | 29:30 | 29 |
| 12.აკადემიკა | 25 | 7 | 7 | 11 | 30:39 | 28 |
| 13.ოლჰანენსე | 25 | 6 | 10 | 9 | 20:30 | 28 |
| 14.სეტუბალი | 25 | 5 | 9 | 11 | 20:35 | 24 |
| 16.ნავალი | 25 | 4 | 8 | 13 | 23:43 | 20 |
| 15.პორტიმორ. | 25 | 4 | 7 | 14 | 23:41 | 19 |

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ტერეკი-ტომი ........ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ზენიტი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| 2.ვოლგა | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 6 |
| 3.რუბინი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:1 | 6 |
| 4.ყუბანი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| 5.კრასნოდარი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| 6.როსტოვი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 4 |
| 7.ცსკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| 8.ლოკომოტ. | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 9.ნალჩიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| 10.ამკარი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| 11.ანჟი | 3 | 1 | 1 | 1 | 1:2 | 4 |
| 12.ტერეკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| 13.დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 5:7 | 3 |
| 14.სპარტაკი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:7 | 3 |
| 15.კრ.სოვეტ. | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| 16.ტომი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

ანთალია-გალათასარაი ........ 3:0

**დანია. სასლიგა**

მიდტიულანდი-ლუნგბიუ ........ 4:4

**შვედეთი. ალსვენსკა**

გიოტებორგი-ერებრო ........ 0:1
ელფსბორგი-ჰეკენი ........ 2:1
დიურგარდენი-აიკი ........ 0:0

**ნორვეგია. ტიპელიგა**

ლილესტრიომი-ბრანი ........ 1:4

**ჩოგბურთი**

**ატპ. ჰიუსტონი. თიხა**

კარლოვიჩი-იანგი ........ 6:4;6:4
სმიჩეკი-დანჩევიჩი ........ 6:3;7:6
კაპდევილე-რამი ........ 7:6;6:7;6:4
ბოგომოლოვი-სკუგორი ........ 6:2;1:6;4:6
კუევასი-მელო ........ 6:2;6:0
დიმიტროვი-შუტლერი ........ 6:0;6:2
ანდრეევი-რასელი ........ 6:2;6:3

**ვტა. მაიბელა. თიხა**

ბეგუ-კორიტცევა ........ 6:3;6:2
ბრატჩიკოვა-არუაბარენა ........ 6:2;4:6;4:6
კამერინი-ბარტელი ........ 1:6;3:6
ზაკოპალოვა-იაკიმოვა ........ 1:6;7:5;6:3
დულჟერუ-პივოვაროვა ........ 7:6;6:7;7:5
ვინჩი-ზაჰლავოვა ........ 5:7;3:6
პოუს ტიო-ჰერცოგი ........ 6:1;6:2
ერანი-კირსტეა ........ 1:6;6:4;6:2

**ვტა. ჩარლსტონი. თიხა**

ვესნინა-მარინო ........ 6:7;6:2;6:3
რიბარიკოვა-ფალკონი ........ 6:7;5:7
შნიდერი-სჰეპერსი ........ 4:6;4:6
მირზა-რისკე ........ 2:6;6:3;6:3
მატეკი-სტივენსონი ........ 6:2;6:1
ჩჟენი-პუიგი ........ 3:6;7:6;7:5
როდიონოვა ან.-ონდრაშკოვა ........ 4:6;6:1;6:2
პენგი-სტივენსი ........ 6:2;6:1

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

რეინჯერსი-ბოსტონი ........ 5:3
სან ხოსე-ლოს ანჯელესი ........ 6:1

# „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში გურამ პეტრიაშვილის წიგნის განხილვა გაიმართა

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ დარბაზში პროზაიკოსისა და პოეტის გურამ პეტრიაშვილის ზღაპრების წიგნის „პატარა ქალაქის სასწაულების“განხილვა მოეწყო.

წიგნი ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ მთავარმა რედაქტორმა როსტომ ჩხეიძემ წარადგინა და ხაზი გაუსვა ზღაპრის ჟანრის მნიშვნელობას და მწერლისეულ მიდგომას ამ მეტად სათუთი და მნიშვნელოვანი ჟანრისადმი, რომელიც ადამიანს ბავშვობის ასაკიდან აყალიბებს.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ პეტრიაშვილის ზღაპრებს არ აქვს ასაკობრივი ცენზი, რადგან მისი წაკითხვა ისეთივე სასარგებლოა მოზრდილებისთვის, როგორც პატარებისთვის. ბევრი ისაუბრეს პერსონაჟების ორიგინალურობაზე, სიღრმისეულობაზე და საინტერესო სიმბოლიკებზე, რომელიც თანამედროვეობაში არსებულ პრობლემებს უკავშირდება.

მოხსენება წაიკითხა ნინო სადღობელაშვილმა და ნიუანსობრივად განიხილა წიგნის თავისებურებანი.

როგორც მარიამ წიკლაურმა აღნიშნა, გურამ პეტრიაშვილმა შექმნა ისეთი ზღაპრები, რომ ბევრს მსჯელობდნენ რა სახელი დაერქმიათ მისთვის. ეს იყო ევროპული მაღალი დონის შემოქმედება, თუ მაღალი კლასის ორიგინალური ქართული ზღაპრები.

მისი თქმით, ზღაპარი ეს არის ჟანრი, რომელიც მოიცავს ყველაფერს, რაც კი ადამიანს სჭირდება და გურამ პეტრიაშვილმა სწორედ ეს ყველაფერი, დიდი სულიერი ჩადო თავის შემოქმედებაში. იქ არის სიბრძნე, სიკეთე და დიდი სულიერება.

სიტყვით გამოვიდნენ: სალომე კაპანაძე, გოგი გოგოლაშვილი, ელისო კალანდარიშვილი, სოფიო ჯაფარიძე, თემურ ნადარეიშვილი, ლევან ქურციკაშვილი და თემურ არჯევანიძე.

გამომსვლელებმა ბევრი ისაუბრეს როგორც წიგნის მნიშვნელობასა და გურამ პეტრიაშვილის შემოქმედებაზე, ასევე მის მოღვაწეობაზე საზოგადოებრივ ასპარეზზე, განსაკუთრებულად გაუსვეს ხაზი მწერლის ქართული ენისადმი პატივისცემას და დაცვას.

გაიხსენეს ისტორიები ცხოვრებიდან, თუ როგორ უკომპრომისოდ ებრძოდა იმ ადამიანებს, რომლებიც ქართული ენისადმი უპატივცემულობას და უყურადღებობას იჩენდნენ.

გურამ პეტრიაშვილისადმი პატივისცემის ნიშნად მომღერალმა ლელა თათარაიძემ და კვარტეტმა „კესანემ“ საღამო თავის სიმღერებით გაალამაზეს.

შეგახსენებთ, რომ 90-იან წლებში აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობის გამო, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების სხვა წარმომადგენლების მსგავსად გურამ პეტრიაშვილი იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. ამჟამად ის უკრაინაში ცხოვრობს და იქ აგრძელებს თავის ლიტერატურულ საქმიანობას.

**მედიანიუსი**

# სიღნაღის თეატრში პრემიერაა

სიღნაღის თეატრის დასი და შემოქმედებითი ჯგუფი პრემიერისთვის ემზადება. თეატრში ახალ სპექტაკლს რეჟისორი მურად ვაშაკიძე დგამს. წინასაპრემიერო ეიფორია უკვე პიკშია და რეჟისორი მსახიობებს ბოლო მითითებებს აძლევს.

სიღნაღის თეატრის დასი რეჟისორთან ერთად სპექტაკლს ცნობილი მსახიობის, აწ გარდაცვლილი ჯემალ მონიავას პიესის მიხედვით დგამს. სპექტაკლი აფხაზეთის ომის თემატიკას შეეხება.

„ჯვარცმული ბედნიერება“ — ასეთია სპექტაკლის სახელწოდება, რომელიც აფხაზი გოგონასა და ქართველი ბიჭის სიყვარულის ამბავზე გვიამბობს. მოვლენები სამოქალაქო ომის ფონზე ვითარდება. სპექტაკლში, რომლის პრემიერაც სიღნაღის თეატრის სცენაზე 6 აპრილს გაიმართება, თეატრის დასი მაყურებლის წინაშე ძველი და ახალი შემადგენლობით წარდგება.

**ეკა ირემაშვილი**

## ენდობით თუ არა ადამიანებს

ტესტი



1. თუ დაფიქრებულხართ, რას ლაპარაკობს ხალხი თქვენზე თქვენს ზურგს უკან?

2. მიგაჩნიათ, რომ ყველა ადამიანს თავისი ფასი აქვს?

3. მიგაჩნიათ, რომ ადამიანების უმეტესობა ფინანსურ საქმეებს არაკეთილსინდისიერად აწარმოებს?

4. მიგაჩნიათ, რომ მრავალი მეუღლის ერთგული არ იქნებოდა, დარწმუნებული რომ იყოს, მის ღალატს ვერავინ შეიტყობს?

5. ენდობით თუ არა ადამიანებს?

6. აძლევთ თუ არა უცნობებს თქვენი ნივთებით სარგებლობის უფლებას?

7. თუ გაბედავდით ზეინკლის შინ უმეთვალყურეოდ დატოვებას?

8. ყოველთვის თუ ამოწმებთ, სწორად გიწერენ თუ არა ხელფასს?

9. ყოველთვის ითვლით ხურდას მაღაზიაში?

10. თუ გაქვთ ფასიანი ნივთების შენახვის ჩვევა, რათა ისინი ყველას თვალწინ არ ეწყოს?

11. მიგაჩნიათ, რომ ადამიანები პირველი შესაძლებლობისთანავე ერთმანეთის მოტყუებას ცდილობენ?

12. თუ რამე გეკარგებათ, როგორც წესი, ვარაუდობთ, რომ მოგპარეს?

13. თუ გაქვთ მეორედ კითხვის ჩვეულება?

14. თუ კოლეგამ საქმიანი შეხვედრა გადადო, ხომ არ ეჭვობთ რაიმე ფარულ მოტივებს?

15. მიგაჩნიათ, რომ ადამიანების უმეტესობა პატიოსანია?

### პასუხები

**უარყოფითი პასუხების (გარდა მე-15 შეკითხვისა) რაოდენობის მიხედვით:**

**11-15 ქულა:** ენდობით ადამიანებს და მიგაჩნიათ, რომ ადამიანების უმეტესობა პატიოსანია და მათი ნდობა შეიძლება. ზოგი ბოროტად იყენებს თქვენს ნდობას და გღალატობთ.

**6-10 ქულა:** გინდათ, მაგრამ ვერ ენდობით ადამიანებს. გამოცდილება მიგანიშნებთ, რომ მრავალი თაღლითი არსებობს, ამიტომაც თქვენი სკეპტიციზმი გამართლებულია

**0-5 ქულა:** არ ენდობით ადამიანებს, ყველას ეჭვის თვალით უყურებთ. ალბათ ღირს შეგახსენოთ, რომ ნდობის სრული არქონა შიზოფრენიას ესაზღვრება.

# კალმახელიძის ადგილი ციხეშია

## ამ ხელისუფლებას ვერანაირი სამთავრობო წმენდა ვერ უშველის

შორენა კოწოწაშვილი



**სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშის მიერ პარლამენტში გაკეთებულმა წლიურმა ანგარიშმა ღიად გამოკვეთა ის მ იმე და ფაქტობრივად საგანგაშო ვითარება, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების „წარმატებული“ რეფორმის პირობებში პენიტენციალურ სისტემაში შეიქმნა.**

**სახალხო დამცველის დასკვნა 599-გვერდიანია და მის გასაცნობად და საფუ ვლიანი განხილვისთვის მოსამზადებლად ნაციონალურმა უმრავლესობამ ერთთვიანი ვადა ითხოვა.**

ნაციონალური უმრავლესობის ამ მოსაზრებას არ იზიარებს საპარლამენტო უმრავლესობა, რომელიც ფიქრობს, რომ ტუღუშის დასკვნაში მოყვანილი უმძიმესი ფაქტები და საგანგაშო სტატისტიკა იმდენად მძიმე სურათს ჰფენს ნათელს, რომ არა მხოლოდ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ ხათუნა კალმახელიძის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, არამედ, ყველა იმ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას, რომელიც ომბუდსმენის დასკვნაშია დასახელებული.

გიორგი ტუღუშის ხმაურიანი და სკანდალური დასკვნის ირგვლივ გავესაუბრეთ წინააღმდეგობის მოძრაობის წევრს, ადვოკატ ლალი აფციაურს.

***— ქალბატონო ლალი, დაგვიანებული ხომ არ არის, თქვენი აზრით, სახალხო დამცველის მხრიდან ციხეებში არსებული მდგომარეობის ობიექტურად გამოკვეთა და როგორ შეიძლება განვითარდეს ამ დასკვნის შემდგომ მოვლენები? ფაქტია, საპარლამენტო უმრავლესობამ ანგარიშის გასაცნობად ერთი თვის ვადა აიღო.***

— სახალხო დამცველის ანგარიში სკანდალური იქნებოდა უფრო მეტად იმ შემთხვევაში, თუკი ყველა ფაქტი რეალურად აისახებოდა. აქ მხოლოდ ის ფაქტებია ასახული, რომლებიც გამჟღავნდა და ვერ დაიმალა. აქედან გამომდინარე, ალბათ, იმის ნახევარი არ არის ეს, რაც რეალურად ხდება ციხეებში. კარგად იცით, რომ უამრავი პატიმრის საკითხი დამალულია. მაქსიმალურად ცდილობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, საავადმყოფოში გადაიყვანოს უკვე მიცვალებული პატიმრები. ესენი ექიმები არიან თუ ჯალათები, უკვე სხვა თემაა. უკვე გარდაცვლილი პატიმრები გადაჰყავთ სამედიცინო ნაწილში და აფიქსირებენ, თითქოს ცოცხლები იყვნენ და მერე გარდაიცვალნენ. აქედან გამომდინარე, ძალიან ბევრია ისეთი ოჯახი, რომელიც მომხდარ ფაქტს მალავს. ამიტომ, რა თქმა უნდა, ზღვაში წვეთია ის ფაქტები, რაც ომბუდსმენის ანგარიშში მოხვდა. რეალობა უფრო სხვა რამ არის. ის ფაქტები, რომლებიც სახალხო დამცველის ანგარიშში დაიდო, ყოველდღიურად ხმაურდებოდა. აქედან გამომდინარე, ეს არ იყო ახალი, ეს ყველაფერი ძველია. ყოველდღიურად ვახმაურებდით ჩვენ მოცემულ ფაქტებს, თუმცალა, მინდა გითხრათ, რომ უმრავლესობას ყურიც არ შეუბერტყავს მომხდარ უმძიმეს ფაქტებთან დაკავშირებით. თუ თავის გამოჩენა უნდათ იმის შემდგომ, რაც ეს მძიმე ფაქტები სახალხო დამცველმა ასახა თავის ანგარიშში, ახლა ეს, ჩემი აზრით, უკვე დაგვიანებულია, ვინაიდან თითოეულ კონკრეტულ ფაქტს რეაგირება დროულად რომ მოჰყოლოდა, დღეს ამ მდგომარეობაში არ ვიქნებოდით. ამიტომ მათი გულგრილობა, მათი უმოქმედობა დანაშაულის ტოლფასია, ანუ თუკი ვინმეს მიუძღვის დანაშაული — მინისტრ ხათუნა კალმახელიძეს ან სხვა ვინმეს, ანალოგიური დანაშაული მიუძღვით უმრავლესობის წევრებს, რომლებიც თავიანთი დუმილით დანაშაულს ფარავდნენ.

***— უნდა დაისვას ტუღუშის დასკვნის შემდეგ მინისტრ კალმახელიძის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი?***

— ეს მხოლოდ ხათუნა კალმახელიძის დანაშაულებრივი ქმედება რომ იყოს, სხვა იქნებოდა. ამის უფლება მინისტრ კალმახელიძეს მისცა ხელისუფლებამ თავისი ნულოვანი ტოლერანტობით. ამიტომ მთელი ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დაისვას და არა მარტო მინისტრ ხათუნა კალმახელიძისა. თუმცა იცით, რომ მე ყოველთვის ვაცხადებდი, კალმახელიძე არა მხოლოდ უნდა გადაეყენებინათ მინისტრის პოსტიდან, არამედ მის მიერ ნაქებ და ევროდონის საკნებად მონათლულ საკანში უნდა მოეთავსებობათ მსჯავრდებულის სახით. მხოლოდ კალმახელიძის გადაფარვას თუ ცდილობენ, ვერაფერი შედეგია. აქ არის მთელი ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი დასაყენებელი. გამომდინარე იქიდან, რომ წახალისება, ნულოვან ტოლერანტობაზე განცხადებები და ა.შ. ზედა ეშელობებიდან მოდის და კალმახელიძეც მათი ერთ-ერთი ჭანჭიკია, რომელიც ურცხვად ასრულებს ყველა ბრძანებას.

***— ტუბერკულოზზე გაკეთდა აქცენტი. რატომ დგას ასე მწვავედ ციხეებში ტუბერკულოზის პრობლემა? ამ კუთხით დეპარტამენტი რაიმე სახის მკურნალობას უტარებს პატიმრებს?***

— ციხის ადმინისტრაცია არანაირ მკურნალობას არ უტარებს. იცით ალბათ, რომ წლების მანძილზე საქართველოში დოცის პროგრამა მოქმედებს. დოცის პროგრამა გათვლილია უმძიმესი ჯანმრთელობის მქონე ადამიანებზე. რაც შეეხება გავრცელებასა და ინფექციის კერას, ეს არის უკვე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უშუალო დანაშაული, გამომდინარე იქიდან, რომ არ ხდება განცალკევება ჯანმრთელი და ავადმყოფი პატიმრებისა. ავადმყოფი და ჯანმრთელი პატიმრები ერთად ჰყავთ მოთავსებული და, ვინაიდან ტუბერკულოზი ჰაერწვეთოვანი გზით გადადის, ის პატიმრებში ძალიან ადვილად ვრცელდება. აქედან გამომდინარე, თითოეული ჩვენგანი, მათ შორის ადვოკატი, ბადრაგი, პროკურორი თუ გამომძიებელი — ყველა ვართ ინფექციის მატარებლები ნებსით თუ უნებლიეთ, გამომდინარე იქიდან, რომ არ ხდება ამ ადამიანების განცალკევება, იზოლაცია და სათანადო მკურნალობა, თუნდაც საწყის ეტაპზე, რომ შემდგომში გართულება არ იყოს. რომელი ერთი ჩამოგითვალოთ. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ისევ ხელისუფლებიდან გამომდინარეა.

***— ასეთი აზრიც გაჩნდა: პრეზიდენტ სააკაშვილს განტევების ვაცი სჭირდება ხელისუფლების გადასარჩენად და ეს შეიძლება უარყოფითი იმიჯის მქონე მინისტრი ხათუნა კალმახელიძე იყოს. უნდა მოახდინოს სააკაშვილმა სამთავრობო წმენდა?***

— ვერანაირი სამთავრობო წმენდა ვერ უშველის ამ ხელისუფლებას. ეს ხელისუფლება ერთიანად უნდა გაიწმინდოს და ესენი ერთიანად უნდა წავიდნენ. ახლა ვიღაცას გაწირავს, ვიღაცას არ გაწირავს სააკაშვილი, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ამით პრეზიდენტი სააკაშვილი თავს ვეღარ დაიკავებს, იმიტომ რომ ჩვენ არაერთი წმენდა გვინახავს და არაერთი სამთავრობო კარუსელი, მაგრამ შედეგი დღემდე იგივე რჩება. ამიტომ მთელი ხელისუფლებისგან არის გასაწმენდი ჩვენი ქვეყანა.

***— როდემდე გაგრძელდება აქციები ლოზუნგით „მეც პატიმარი ვარ“?***

— იმ დრომდე, ვიდრე შედეგი არ დადგება.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ორკესტრის მიერ შესრულებული მოკლე მუსიკალური მისალმება; 2. რაიონული ცენტრი რაჭაში; 3. ტბა სამხრეთ საქართველოში; 4. მუსიკალური გამის მეშვიდე ბგერა; 5. ფერადი ლაზერის გამომგონებელი იაპონელი ფიზიკოსი; 6. ოპერა „ფაუსტის“ კომპოზიტორი; 7. წყალსაცავი მდინარე არაგვზე; 10. მტვერსასრუტის გამომგონებელი ინგლისელი ინჟინერი; 11. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 12. ფოტოჟურნალისტთა მეტსახელი; 13. მექუდის ძველი ქართული სახელწოდება; 16. ზღვისპირა კურორტი ყირიმში; 18. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 19. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი ქართლში; 21. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 24. ქოქოსის კაკლის გული, რომლისგანაც იღებენ მაღალხარისხოვან ზეთს.

**თარაზულად:** 1. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 3. ხევისბერი ფშავ-ხევსურეთში; 8. ავლანეთის დედაქალაქი; 9. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 14. ჰუნების წინამძღოლი; 15. ქართული ხალხური ცეკვა; 17. პატარა ტანის ცხენი; 20. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 22. საზეიმო წვეულება, დარბაზობა; 23. ლათინური ანბანის ბოლოდან მეორე ასო. 25. სახოტბო ლექსი; 26. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 27. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 28. ბავშვთა დაავადებათა შემსწავლელი მედიცინის დარგი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ყინული; 2. ფეოლა; 3. ძოწი; 5. ჯულური; 6. სააბი; 7. ნოთაობა; 11. სკივრი; 13. ამარეტო; 14. ყენია; 15. ვეჯვუდი; 16. პუდინგი; 17. ლიკუდი; 19. ატომი; 20. ბიზე.

**თარაზულად:** 1. ყიფშიძე; 4. გურჯი; 8. წნორი; 9. ღალა; 10. უოლესი; 12. ოტიატრი; 14. ყავა; 15. ვალენსია; 16. პანჩი; 18. შავრა; 21. კანოე; 22. გურზუფი; 23. მადიარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შაჰი; 2. ისე; 3. კარაკასი; 4. პა; 5. შიკოლონე; 6. აკრი; 7. ბიუჯეტი; 10. კოლო; 11. ფიუმიჩინო; 12. ტარტიუფი; 13. თული; 16. ელეგია; 18. მიტარბი; 19. ტრიუკი; 21. ბრუტო; 24. სესხი.

**თარაზულად:** 1. შეიკერი; 3. კანაპე; 8. ბისკაი; 9. ჰუკი; 14. ელესა; 15. ბუგელი; 17. რადა; 20. სტილბა; 22. ნაიკი; 23. რეიმსი; 25. მზე; 26. გორი; 27. იაძე; 28. სიგნატურა.

# ჰაიტიში პრეზიდენტად პოპ-მომღერალი აირჩიეს



ჰაიტიში პრეზიდენტის არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა პოპულარულმა მომღერალმა მიშელ მარტელიმ, რომელსაც ყველა არჩევნების აუტსაიდერად მიიჩნევდა.

50 წლის მარტელს, მეტსახელად „ტკბილ მიკის" მხარი ამომრჩეველების 67.57%-მა დაუჭირა. მისმა მეტოქემ, მირლანდ მანიგამ, ყოფილი პრეზიდენტის ლესლი მანიგას მეუღლემ 31.74% მოაგროვა.

არჩევნების შედეგებს ოფიციალურად 16 აპრილს გამოაქვეყნებენ.

მარტელიმ თავისი წინასაარჩევნო კამპანია ჰაიტიში ცვლილებების დაპირებებზე ააგო. ამ კუნძულოვან სახელმწიფოს ძლიერი დარტყმა მიაყენა გასულ წელლს მომხდარმა დამანგრეველმა მიწისძვრამ, რასაც შემდეგ ქოლერის აფეთქება მოჰყვა.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მომღერალს, რომელსაც პოლიტიკური საქმიანობის გამოცდილება არ გააჩნია, კარიბის ზღვის აუზის უღარიბესი ქვეყნის პრობლემებზე ზრუნვა მოუწევს.

ჰაიტი უწიგნურობისა და უმუშევრობის მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იმყოფება. ქვეყნის მოსახლეობის 80%-ის შემოსავალი დღეში ორ დოლარზე ნაკლებია.

2010 წლის იანვარში მომხდარმა მიწისძვრამ ჰაიტის ისედაც სუსტ ეკონომიკას ძლიერი დარტყმა მიაყენა. მიწისძვრის შედეგად დაიღუპა 300 ათასი ადამიანი, ასეულ ათასობით დღემდე დროებით კარვის ბანაკებში ცხოვრობს. დონორი ქვეყნები ჰაიტის აღდგენითი სამუშაოებისათვის 10 მილიარდ დოლარამდე თანხის გამოყოფას დაჰპირდნენ.

მიმომხილველების თქმით, მარტელის გამარჯვება ნიშნავს, რომ მოსახლეობამ უარი უთხრა ყველა იმ პოლიტიკოსს, ვინც დღემდე ქვეყანას მართავდა ან ოპოზიციაში იმყოფებოდა.

არჩევნების პირველი ტური 28 ნოემბერს გაიმართა. წინასწარი შედეგების მიხედვით მარტელი მეორე ტურში ვერ უნდა გადასულიყო და მის ნაცვლად ბრძოლა ამჟამინდელი პრეზიდენტის რენე პრევალის მომხრესა და მმართველი პარტიის წევრს, ჟიუდ სელესტინს უნდა გაეგრძელებინა.

მაგრამ კენჭისყრის დროს ფალსიფიკაციისა და დარღვევების ბრალდებებთან დაკავშირებით ხანგრძლივი საპროტესტო გამოსვლებისა და არეულობის შემდეგ კომისიამ ბიულეტენები ხელახლა გადათვალა და მომღერალი მეორე ტურში გაიყვანა. პირველ ტურში დამარცხებულმა პრეზიდენტობის ხუთმა კანდიდატმა მარტელის დაუჭირა მხარი. მომღერალს დაუჭირა მხარი აგრეთვე რეპერმა უაიკლიფ ჯინმა, ვისაც ჰაიტის ცსკო-ში რეგისტრაციაზე უარი იმ საბაბით უთხრეს, რომ იგი ბოლო დროს აშშ-ში ცხოვრობდა.

# იემენში პოლიციამ დემონსტრანტებს ესროლა



იემენის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ქალაქ ტაიზში პოლიციელებმა და სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილმა შეიარაღებულმა პირებმა დემონსტრანტებს ცეცხლი გაუხსნეს.

თვითმხილველების თქმით, შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიჭრა. დემონსტრანტებმა პასუხად პოლიციელებს ქვები დაუშინეს.

არაბული სამყაროს ყველაზე ღარიბ ქვეყანაში, იემენში არეულობა რამდენიმე კვირაა გრძელდება. ეგვიპტისა და ტუნისის მაგალითით იმედმიცემული დემონსტრანტები რეფორმების გატარებას და 32 წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეში მყოფი ალი აბდულა სალეჰის გადაყენებას ითხოვენ.

სალეჰმა მიანიშნა, რომ იგი პოსტის დატოვებას არ აპირებს, მაგრამ მოსახლეობას დაჰპირდა რომ 2013 წელს პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებდ.

მან ოპოზიციას მოლაპარაკებებისაკენ მოუწოდა.

ტაიზში პოლიციამ დემონსტრანტებს ცეცხლი მას შემდეგ გაუხსნა, რაც მათ ქალაქის ცენტრში მდებარე სამთავრობო შენობისაკენ გაღწევა სცადეს.

წითელი ზღვის სანაპიროზე მდებარე, ქვეყნის სიდიდით მეოთხე ქალაქ ჰოდეიდაში პოლიციამ და სამოქალაქო სამოსში გამოწყობილმა პირებმა ცეცხლი გაუსხნეს დემონსტრანტებს, რომლებიც პრეზიდენტის სასახლეში შეღწევას შეეცადნენ.

ჰოდეიდაში გამართული საპროტესტო აქცია ტაიზში კვირის ბოლოს ანტისამთავრობო გამოსვლების დარბევის პროტესტის ნიშნად გაიმართა. ამ დარბევის შედეგად ორი ადამიანი დაიღუპა, ასობით დაიჭრა.

გარდა ამისა, უშიშროების ძალებმა დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს, ტაიზის მისასვლელ გზებზე ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები განათავსეს და ამგვარად სცადეს დემონსტრაციაში მონაწილეობის მსურველთათვის ხელის შეშლა.

მიმდინარე წლის თებერვლის შემდეგ ტუნისში მრავალათასიანი გამოსვლები იმართება. ბოლო დროს ხელისუფლებმა აქტიურად დაიწყეს თავიანთი მომხრეების მობილიზება, რომლებიც მიტინგებზე მმართველ რეჟიმს იცავენ. იემენში საპროტესტო გამოსვლების დაწყების შემდეგ ასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ადამიანის უფლებათა დაცვის ორგაიზაციები აშშ-ისა და დასავლეთის ქვეყნებისაგან იემენის მთავრობისათვის სამხდრო დახმარების შეწყვეტა მოითხოვეს.

დასავლეთის ქვეყნებს ქვეყანაში სისხლისღვრის შეჩერების მოწოდებით იემენის ოპოზიციამაც მიმართა.

აშშ ჯერჯერობით იემენში მიმდინარე მოვლენების კომენტირებისაგან თავს იკავებს. იემენი „ალ კაიდასთან" ბრძოლაში აშშ-ის მოკავშირეა. გაზეთმა „ნიუ იორკ თაიმსმა" იემენელ და ამერიკელ ხელისუფლებზე მითითებით განაცხადა, რომ პრეზიდენტ ბარაქ ობამას ადმინისტრაციამ გაჭიანურებული კონფლიქტის გამო შესაძლოა იემენის პრეზიდენტთან დამოკიდებულება გადასინჯოს და სალეჰის გადადგომის მოსაზრება გაიზიაროს.

# ფუკუსიმას რეაქტორის გარშემო სპორტული მოედნების შემოწმება დაიწყეს



იაპონიის ფუკუსიმას პრეფექტურის ხელისუფლებმა ბავშვთა სპორტულ და სათამაშო მოედნებზე რადიოაქტიურობის დონის გაზომვა დაიწყეს. ორი დღის განმავლობაში ისინი 1400-მდე სკოლის, საბავშვო ბაგა-ბაღის შემოწმებას აპირებენ. ოფიციალური პირების განცხადებით, ატომური ელექტროსდგურის გარშემო 30 კმ სიგანის გაუცხოების ზონის ფარგლებს გარეთ ყოფნა ბავშვებისათვის სახიფათო არ უნდა იყოს.

ატომურ ელექტროსადგურში მუშებმა ზღვაში რადიოაქტიურობის დაბალი დონით დაბინძურებული წყლის ჩაღვრა დაიწყეს, რათა ადგილი გაეთავისუფლებინათ ენერგობლოკებიდან გადმოღვრილი, უფრო ძლიერ დაბინძურებული სითხისათვის.

სავარაუდოდ, ენერგობლოკიდან 11.5 ათასი ტონა წყლის გადმოტუმბვას აპირებენ.

9 ბალიანი მიწისძვრისა და მისი მომდევნო ცუნამის შედეგად დაღუპულთა რიცხვმა 12157-ს მიაღწია. უგზო უკვლოდ დაკარგულად ითვლება 15.5 ათასი ადამიანი.

დადგენილია დაღუპულთა 80%-ის ვინაობა. მათი გვამები ჭირისუფლებს გადასცეს.

ხელისუფლების ვარაუდით, მიწისძვრის შედეგად გაჩანაგებულ რაიონების მკვიდრი 161 ათასზე მეტი ადამიანი დროებით საევაკუაციო ცენტრებში ცხოვრობს.

*საზოგადოება*

# იაპონიას სოლიდარობის არტ-აქცია მიეძღვნება

*ეკა ირემაშვილი*

6 აპრილს „ევროპის სახლის" საგამოფენო სივრცეში საინიციატივო ჯგუფი არტ-აქცია „საკურას ყვავილობას" გამართავს, რომელიც იმართება იაპონელი ხალხის მხარდასაჭერად. არტ-აქციის ფარგლებში „ევროპის სახლის" საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იქნება ცნობილი ფოტოგრაფების იური მეჩითოვის, ნათელა გრიგალაშვილის, გურამ წიბახაშვილის, გოგი ცაგარელისა და ლიზა ოსეფაიშვილის მიერ იაპონიის თემაზე შექმნილი 25 ფოტო-ექსპოზიცია.

აქცია იმართება იაპონიაში „საკურას" ყვავილობის კვირეულის პარალელურად. საკურას ყვავილობა იაპონიაში 27 მარტს იწყება და 7 აპრილამდე გრძელდება. გაზაფხულის ეს დრო იაპონელებისათვის იმდენად აქტუალურია, რომ ამინდის პროგნოზებსაც კი იმის მიხედვით ადგნენ, თუ რომელ ქალაქში რა დროს იყვავილებს საკურა — იაპონური დეკორატიული ალუბლის ხე, რომელიც ამომავალი მზის ქვეყნის ერთგვარი სიმბოლოა.

ღონისძიებაზე მიწვეულია სპეციალური სტუმარი, იაპონიის ელჩი, მისი აღმატებულება, ბატონი მასაიოში კამოჰარა, ასევე სხვა სტუმრები — სამთავრობო უწყებების, დიპლომატიური თუ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებს არტ-ფოლკ ჯგუფი „კიბატონო" საათნახევრიან კონცერტს შესთავაზებს. აქციაზე პირველად გაჟღერდება მუსიკალური ჯგუფის მიერ შექმნილი ახალი კომპოზიცია „საკურა", რომელიც იაპონიაში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების ინსპირაციით შეიქმნა. მხატვარი ბესა ქართლელიშვილი წარმოადგენს ინსტალაციას „ასაჰი" — ამომავალი მზე. არტ-აქციაში მონაწილეობს ორიგამის სკოლაც. წარმოდგენილი იქნება იაპონური ტრადიციული სამზარეულო. ამავდროულად, მხატვრები სტუმრებს სურვილისამებრ დაახატავენ იაპონურ სიმბოლოებს, საკურას ყვავილობის ან მშვიდობის აღმნიშვნელ იეროგლიფებს. არტ-აქციის შესახებ დოკუმენტურ ფილმს გადაიღებენ, რომელიც შემდეგ გავრცელდება იაპონიის მოვლენებთან დაკავშირებულ სპეციალურ ვებ-გვერდებზე, როგორც სოლიდარობის გზავნილი საქართველოდან.

# ხაშურს ლიტვის ელჩი იონას პასლაუსკასი ეწვია

გუშინ ხაშურს ლიტვის ელჩი იონას პასლაუსკასი ეწვია. ელჩმა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელთან მამუკა მოსიაშვილთან ერთად ხაშურის მხარეთმცოდენობის მუზეუმში ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით მოწყობილის გამოფენა დაათვალიერა.

გამოფენაზე ტაშისკრისა და სურამის ბავშვთა სახლების აღსაზრდელთა მიერ შესრულებული თექისა და მინანქრის ნამუშევრები იყო წარმოადგენილი. აღნიშნულ ბავშვთა სახლებში, ლიტვის საელჩოს მხარდაჭერითა და დაფინანსებით 2009 წლიდან ფუნქციონირებს თექისა და მინანქრის დამუშავების შემსწავლელი ცენტრები, სადაც მოსწავლეები ეუფლებიან თექიასა და მინანქარზე მუშაობას.

პასლაუსკასი კონცერტსაც დაესწრო, რომელშიც მონაწილეობდნენ ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის მოსწავლეები. ღონისძიებაზე ქართულ სიმღრებთან და ცეკვებთან ერთად მოსწავლეებმა ორი ლიტვური სიმღერაც შეასრულეს. ხაშურის ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრს ლიტვის საელჩომ გასულ წელს ელექტრო- მუსიკალური ტექნიკა უსახსოვრა. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მამუკა მოსიაშვილმა მადლობა გადაუხადა ლიტვის ელჩს მიერ გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის და იმედი გამოთქვა, რომ მომავალშიც გაგრძელდება მათი თანამშრომლობა.

**ინტერპრესნიუსი**

# სამგლოვიარო განცხადებები

## თამაზ ქარდავას მონატრება!



ენით აუწერელი ტკივილით, ცრემლით, ყვავილებით გილოცავთ დაბადების დღეს. 6 აპრილს 44 წელი შეგისრულდებოდა. ერთი წელი სრულდება, რაც წახვედი ამქვეყნიდან და დაგვიტოვე მწუხარება, საშინელი ტკივილი, ამოუვსები სიცარიელე. ძალიან გვენატრები სამეგობროს, სულით მდიდარო და კეთილო ვაჟკაცო. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული, ჩემო დაუვიწყარო ძმაო.

*შენი დამწუხრებული მეგობარი ჯანო ბიგვავა*

---

39-ე საშუალო სკოლის 1958 წლის გამოშვების თანაკლასელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საზოგადოების საუკეთესო ნაწილის თვალსაჩინო სახის, ამაღლებული სისადავის, ღირსეული მამულიშვილისა და ძვირფასი მეგობრის

**გურამ სხირტლაძის**

გარდაცვალებას.

---

ნანა ბოკუჩავა, მათიკო ჩქარეული, მანანა ასათიანი, მანანა ქუთათელაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბავშვობის უახლოესი მეგობრის, დახვეწილი ინტელექტის, ადამიანური უბრალოების, ჭეშმარიტი ქრისტიანული სიყვარულით სავსე პიროვნების

**გურამ სხირტლაძის**

გარდაცვალებას.

---

გუგა დევდარიანი, ნანა ბოკუჩავა ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ფარნაოზ ანანიაშვილი**

უფალმა აამაღლოს ზეციურ სამუდამო სასუფეველში ღირსეული ქართველის, ჭეშმარიტი მამულიშვილის ნათელი სული.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ოთხშაბათი 6 აპრილი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** აუდიტორია **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "შერლოკ ჰოლმსი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ჩემპიონთა ლიგა. საფეხბურთო გადაცემა **23.00 ჩემპიონთა ლიგა**. პირველი მეოთხედფინალი. **00.40** მოამბე **01.00** მხ. ფილმი **"ბატაკა"** (ე. ჰიუკი) **03.50** ჩვენი ეზო **04.50** მხ. ფილმი **"მკვლელობის ჟინი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **20.00** მხ. ფ. **"უცხო გული"** **01.00** მხ. ფ. **"ბოროტი ქალი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სერ. **"შენ ჩემი სიცოცხლე ხარ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** კომედი შოუ **15.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **16.00** სერ. **"სიყვარულის საიდუმლო"** **16.50** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.50** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **22.40 ჩემპიონთა ლიგა**. ჩელსი-მანჩესტერი **00.40** პატრული **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.20** მხ. ფილმი **"უკანასკნელი ციხესიმაგრე"** (18)

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ. **"ორნახევარი კაცი"** **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.25** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"ლობას საიდუმლო"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მონტეს ოჯახი"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როუა სიყვარული მოდის"** 1-ლი ს. **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ყოფილი ცოლების კლუბი **23.00** თბილისი ლაივი **23.30** ღამის შოუ **00.30** ვის აირჩევს კახა ბენდუქიძე **01.00** მხ. ფილმი **"ოთხი ოთახი"** (15) (სუბტ.) **03.00** მხ.ფ. **"სხეულების გამტაცებლები"**(ბ.უორთი)(სუბტ.) **04.25** მხ. ფილმი **"ბოროტების სავანე 3"** (18) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"ადვოკატი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"სენიორა პრეზიდენტი"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"სასტუმრო"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"მევლუდი"** **13.35** კონცერტი – "თბილისი" **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"კაპიტნები"** **16.55** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"გლახის ნაამბობი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.35** დოკ. ფ."წმინდა მიწაზე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15, 00.35** სუფთა დაფა **00.50** გადაცემა "კარაბადინი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

**6 აპრილი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 1,704 |
| ევრო | — 2,4135 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 2,7714 |
| რუსული რუბლი | — 0,06 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 13-18, ღამით — 5-7
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 8-14, ღამით — 7-11
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-15, ღამით — 9-3,

## ამინდის პროგნოზი 6 აპრილისთვის







## ქართული ფლორის საოცრება
# „სალხინო" უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

„სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.

**მის.: აღმაშენებლის 146. ტელ.:** 14-41-58, 95-90-60.


# „ფულჰემის" მეპატრონემ ჯექსონს ძეგლი სტადიონზე დაუდგა



„ფულჰემის" მეპატრონემ, არაბმა მილიარდელმა მოჰამედ ალ ფაედმა „კრეივენ კოტეჯზე" თავისი გარდაცვლილი მეგობრის მაიკლ ჯექსონის ძეგლი დადგა. ძეგლის მხატვრულ ღირებულებაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ძეგლის დანახვაზე ლონდონში ბევრს გაეცინა, „ფულჰემის" ფანები კი გაბრაზდნენ. გაბრაზებით თავად ალ ფაედიც გაბრაზდა და კრიტიკოსებს ჯანდაბისკენ მიმავალი გზა უსურვა.

— რატომ არის ეს ძეგლი სასაცილო? ფეხბურთის მოყვარულებს ის ძალიანაც მოსწონთ, ხოლო თუ ზოგიერთს სხვა აზრი აქვს, ჯანდაბამდე გზა ჰქონია. ვისაც არ მოეწონა, სულელია. ვინც ამ ნაწარმოებს ვერაფერი გაუგო, შეუძლია აქვე, „ჩელსის" სტადიონზე გადავიდეს და მას უგულშემატკივროს. ამ ქანდაკების სანახავად ხალხი მთელი ბრიტანეთიდან ჩამოდის და რიგში დგება. ეს ისეთი რამ არის, რითაც ჩვენ, „ფულჰემის" ფანებს, შეგვიძლია ვიამაყოთ, — განაცხადა ალ ფაედმა, რომელსაც ძეგლის დადგმა 100.000 გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.

ძეგლი ორტონანახევრიან გრანიტის პეიდესტალზე დგას. დაბლა ჯექსონის ერთ-ერთი სიმღერის ტექსტია ამოტვიფრული. გახსნის ცერემონიალი კვირას, „ფულჰემის" და „ბლექპულის" შეხვედრის წინ მოეწყო, რომელშიც მასპინძლებმა 3:0 იმარჯვეს.როგორც ხედავთ, ჯექსონის ძეგლი ფეხბედნიერი გამოდგა.

**მ. ჟ.**

## ყველამ გაითვალისწინეთ!
# ასტროპროგნოზი 6 აპრილისთვის

წარმატებული დღეა.

**ვერძი** — სწავლაში გაგიმართებთ, მეცნიერებაში თქვენს ადგილს დაიმკვიდრებთ. **კურო** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ტყუპები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** — ჰარმონიული დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **ღრიანკალი** — სამსახურში გიმართლებთ, საქმეს ბოლომდე მიიყვანთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — ძვირფას საჩუქარს მიიღებთ. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, საღამოს დაჯილდოვდებით. **თევზები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**



# იუმორი

***

ორი ტიპი ზის, თევზაობს:

— კარგა ხანია გივი აღარ გამოჩენილა.

— ამერიკაში წავიდა.

— ვახო?

— ვახომ ამას წინათ საბერძნეთიდან დარეკა.

— ეს თევზიც რომ არსად ჩანს.

— თევზიც ემიგრაციაშია...

***

— ქალიშვილო, ცხოველები გიყვართ.

— დიახ. ძალიან.

— მერე, აქ არა ვარ.

***

— პინგვინს შეიძლება ჰალსტუხი გაუკეთო, მაგრამ ჯენტლმენი მაინც არ გახდება...

***

— გარს საინტერესო, სიმპათიური ადამიანები შემომერტყნენ, რომლებიც ნელ-ნელა ავიწროვებდნენ ალყას...

***

— ჭკვიანი ადამიანი იდიოტების ქვეყანაში თავისი ჭკუის დემონსტრირებას არ ცდილობს...

***

— რატომაა, რომ თქვენს საპარაშუტო სკოლაში უბედური შემთხვევების რიცხვი სხვა სკოლებთან შედარებით ყველაზე მეტია?

— იმიტომ, რომ ძალიან ბუტია ინსტრუქტორი გვყავს...

***

ცოლ-ქმარი მუზეუმში ვენერა მილოსელის სკულპტურასთან შეჩერდა. ქმარმა დიდხანს ათვალიერა ქანდაკება და შემდეგ ცოლს ეუბნება:

— იცი, ძვირფასო, რაღაცით შენ გგავს.

— როგორც იქნა, შეამჩნიე, რომ ჩასაცმელი არაფერი მაქვს...

# კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. აზროვნების უნარი, გონება; 2. ძაფზე ასხმული სამკაული; 3. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 4. ბრინჯისგან მომზადებული აღმოსავლური კერძი; 5. სრულყოფილი ფორმების, მშვენიერების მოტრფიალე; 6. საახალწლო ტკბილეული; 8. რაიმეს თანდათანობით გაუარესება, დაცემა; 10. ქურდობისადმი ავადმყოფური მიდრეკილების მქონე ადამიანი; 11. ფრანგი მწერალი, მეიგავე; 14. დიდებულთა მემკვიდრეობითი წოდება ესპანეთში; 15. ყველა მაჰმადიანის საერთო სახელწოდება; 16. ძვირფასი აბრეშუმის ქსოვილი.

**თარაზულად:** 1. წითელი ფერის, შავწინწკლებიანი მრგვალი ხოჭო; 4. ინგლისელი მწერალი, ჯეიმს ბონდის პერსონაჟის შემქმნელი; 7. ძვირფასი ლითონების წონის საერთაშორისო ერთეული; 9. გასართობი სანახაობითი დაწესებულება; 12. ქართველი მეცნიერი, ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი; 13. ღვინის საპატივცემულო საახალწლო რიტუალი ძველად საქართველოში; 14. ძველი გერმანული ტომი; 17. სასტუმროების ქსელის მფლობელი, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია; 18. ალბანელი მხედართმთავარი, ეროვნული გმირი; 19. ქვემეხის ერთ-ერთი სახეობა; 20. მთვარიანი ღამე.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*




# 4 აპრილიდან

## იყიდება

**100 წიგნი**

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

## ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 2**

# ფრანკო

**გაზეთი და წიგნი ერთად — 8 ლარი**